ჩემი ჰობი

პოეზია

ჩემი ჰობი

პოეზიაა

ლიტერატურული ალმანახი N 9

ახალციხე/ ხაშური/თბილისი

2014

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ჩ-433

პერიოდული გამოცემა
გამომცემელი: ლერი ნოზაძე
ISSN 1987-9261

კარი პირველი

ვასილ ამირიძე

დაიბადა 1933წლის პირველ მაისს, დუშეთის რაიონის ამირთკარში (რომელსაც დღეს ამირნი ჰქვია). 1952 წელს დაამთავრა ფასანაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1957 წელს დაამთავრა და განაწილებით მუშაობა დაიწყო გორის რაიონში, -ტყვიავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში(მტს). მტს -ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რაიონის ხელმძღვანელობის მიერ გადაყვანილ იქნა ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად, საიდანაც პირადი განცხადებით წავიდა 1964 წელს და რ/გ „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალურ აპარატში დაიწყო მუშაობა. მან ამ სისტემის ორგანიზაციებში ჯერ განყოფილების უფროსად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ იმუშავა 1993 წლამდე - პენსიაში გასვლამდე. 1996 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი იყო, ხოლო ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ 2012 წელს განთავისუფლდა პირადი განცხადებით.

გიხაროდენ

გიხაროდენ, გათენდება დილა
ტოროლების მოწკრიალე ხმაზე,
ზეცის კარი გაიღება ფრთხილად
მზეც ბრდღვიალა აენთება ცაზე.
ქურდზე ფრთხილად მოარული სიო
მთვლემარ კორდებს გადაჰკოცნის ცვრიანს,
უღრან ტყეში გამოძებნის ღიობს,
ძილს დაუფრთხობს ცისფერთვალა იას.
ნაზ ტალღებად დაიღვრება ტყიდან
მგალობელთა ღაღადისი დილის,
არე-მარეს მოედება ტკბილად
ღვთის დიდებად ჰიმნი აღვლენილი.
ამღერდება ჩემი მთა და ბარი
მოზეიმე ვინ დათვალოს ფერი?
აქ ტრიალებს დღეს მეუფის თვალი
ცას შეხარის მთიულეთის ჭერი...

***

კრწანისში დღესაც ატყვია
არაგველთ ცხენთა ნატორი -
სიცრუე მათზე ვერ შემიტყვია
„ხმელი წიფელის“ავტორის.
1988-2014წწ.

***

პატიებას გთხოვ, უფალო, -
გავკადნიერდი ბებერი,
ყველა, ვინც ჩემებრ გარეკავს
ჭკუით იქნება ჩემფერი.
კარგად ვიცით ძველი აღთქმა,

მწყობრად ჰყვება, დავიფიცებ,
თიხა როგორ მოზილე და
კაცის ტანი გამოძერწე.
ნაკეთობა მოგეწონა
შემდეგ ჩაუბერე სული,
კაცმა ფეხზე გაიარა
ვაჟკაცია ტანად სრული.
მარტო კაცმა რა უნდა ქნას?
კითხვა იშვა იქვე, წამსვე,
მდედრიც ჰყავდეს უნდა გვერდით
სიკეთით და გრძნობით სავსე.
მოაბრუნე ვაჟკაცი და
ამოართვი ნეკნის ძვალი,
ძვლიდან მსწრაფლად გამოძრეწე
თვალწარმტაცი ქალის ტანი.
ადამს გვერდით დაუყენე
ევა, მისი მინამგვანი...
.....
ქალის ტანიც რომ შეგექმნა
აღარ იყო ნუთუ მიწა???
სხვამ ირწმუნა? - მე არ მჯერა
შემინდე და ნუ გამკიცხავ.

***

დამიგდო წუთის სოფელმა
წელში მომგრიხა კავივით.
სიცოცხლის ყავლი ილევა
აქა-იქ ვჩხავი ყვავივით.
უქმად გავლიე საწუთრო
გვიან არს თითზე კბენანი,
დაბლა მე არა ვვარგოდი
არცა მწყალობდნენ ზენანი.
გარდუვალს ვუმზერ, წინ მიდგას
„იქ“ წამსვლელთ დამწესებელი,

ხელში უჭირავს მახვილი
სიცოცხლის დამსრულებელი.
მალე ალბათ თავს წამაცლის,
გზას მიმასწავლის შავეთის.
წერილებს მოვიწერები
თუ იქ „მშვიდობით“ – „შავედი...“

მთიულეთში მღერიან

ვიმხიარულოთ სწორებო
მანამ ერთურთსა ვხედავთო,
თორემ მაშინაც გვეყოფა
შავს მიწას ამოვხედავთო.

***

დისწული დედისძმათასა
სკამს უკითხავად დაჯდება,
თუ ეწყინება დედისძმათ
სკამი ოხრადამც დარჩება.

***

იანვრის ოცის დილაა
გონებას ღრღნიან ფიქრები,
სამუშაოსკენ გზად თოვლის
შუბლს მიკოცნიან ფიფქები.
-იქნებ ინებოს გამჩენმა
ნაღდად გვაწვიოს ზამთარი,
ქათქათა თოვლმა დაფაროს
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.
თავაწყვეტილი ზვავები
მთიდან დაეშვნენ ხმაურით,
რომ გაზაფხულზე ხევებმა
ატეხონ აურზაური.

***

ვაჟკაცი ხარ და კაცობის ქუდი
თავზე გხურავს და ქვეყნად დადიხარ? –
შეცდომას შენსას სახალხოდ იტყვი?
შეგინდობს ღმერთი, - კაცი ყოფილხარ...

***

გამჩენო, შენს სიდიადეს
კაცთა გონი ვერ მიაგნებს,
თვით მოსპობას უმალ შეძლებს
ძებნას თავს თუ არ ანებებს....

***

ჩვენი უფლის დედავ,
ცათა შინა გხედავ,
გადმოხედე წილხვედრ მიწას
კრძალვით აჯას ვბედავ...

***

როდემდე იბობოქრებს
ქაოსი უთავ-ბოლო?
ზემონი ზეობენ მუდამ,
ქვემონი ვუმზერთ მხოლოდ...

***

ადამიანის გონებიდან ამოსული
აზრი მაძებარი,
ვერაფრის მპოვნელი -
უკუ მიიქცევა უმალ.
გვამადქცეულის
ცად წასული სული კი -
მუნვე ვანდება, -
რადგან ასე ენებება უფალს....

***

„თეთრი არწივი“ - რაზმია,
„შავი არწივი“ - ფირმაა,
„ოქროს არწივი“ - პრიზია,
ნაღდი არწივი სადღაა?
ნაღდი არწივი? - ცაშია
ლაჟვარდთ სივრცეთა მფლობელი,
ფრინველთა მეფის ვალია
იყოს თვალთმიუწვდომელი....

პეტრე ბაგრატიონს

ბოროდინოში ბაგრატიონის
საფლავი ააფეთქეს. (პრესიდან)

უცხო მიწაზე გშობა განგებამ,
დიდ მხედართმთავრად გაქცია ბედმა,
გენერლის ჩინმა გავალდებულა
რუსეთისათვის თავის დადება?
ფიცხელ ბრძოლებში მტერთა მმუსრავსა
ვაჟკაცს გშვენოდა არწივის ხედვა,
ჰერკულესს ჰგავდი ბოროდინოშიც,
შენი ფრანგული ფრანგებსა სხეპდა....
მაგრამ საწუთრომ მარად ვერაგმა
სამარადჟამოდ არც შენ დაგინდო,
მომხდურთ მახვილმა და ბედისწერამ
სიცოცხლის გზაზე მიჯნა დაგიდო.
დიდმა ურჩხულმა პატივი დაგდო
და ეს პატივი თვითვე წაშალა,
ბოროდინოში შენი საფლავი
ააფეთქა და მიშალ–მოშალა.
იქნება დღესაც მინდორში ჰყრია
შენი, - ბრძოლებში დაღლილი ძვლები,
ქარი და წვიმა ჰყვანან მოზარედ

ჩემი ჰობი პოეზიაა

აგერ რამდენი გავიდა წლები!
როს აქოთებულ იმპერიაში
შენი სახელი დიდებით ჰქუხდა.
პატივაყრილი ქართლი, კახეთი
რუსთა ჩექმებქვეშ გმინავდა, წუხდა.
მონღოლთა ურდოს ნაშიერთაგან
ერს თავს დაატყდა უხადი ჭირი,
ერეკლე ალბათ საფლავში დღემდე
სამეფოწაშლილ ქვეყანას ტირის....
ხარების ნაცვლად მთიულთა ქალთა
უღელში შებმა, მათრახით ცემა,
ნამუსის ახდა ქმრის თვალწინ ცოლის
გახლდათ რუსული ზნეობა-ქცევა.
უბატონო და თავისუფალმა
მთამ არ იგუა მონის უღელი,
მთიელთა რისხვა ზე აიყალყა
ავად გადმოსკდა ბოღმა-ნაღველი.
თავისუფლების დაკარგვის შიშმა
ამაყად მძლავრი გაშალა ფრთები,
სოფლებზე ელვად გადიგრიალა
და შეარყია მდუმარე მთები...

დაზაფრულია ნაზღაიძე მთის ციხისთავი
ტვინს უბურღავენ მრუმე ფიქრები,
„ჩვენს თავს თუ ჩვენვე არას ვუშველით
ხვალ ყველა რუსთა მონა ვიქნებით“.
ნაცვალს უხმო , -ამირიძე სამუკას
და დეკანოზს, - უფლის მსახურს, ბურდულს,
დრო არ ითმენს ვითათბიროთ ძმებო,
და ციხის კარს უყრის რკინის ურდულს.
რუსთ ავკაცობას არ უჩანს ბოლო,
ჩვენს მოთმენასაც აქვს დასასრული.
აღარც მეფე გვყავს, უპატრონობით
ქართლ-კახეთია მთლად დაზაფრული...

საარაგვო დავაყენოთ ფეხზე.
ქვეყნისათვის თავდადებულთ ვუხმოთ,
განაზრახი ვამცნოთ მეზობლებსაც
მძიმე ტვირთი რომ ერთადა ვზიდოთ.
თავკაცებად შევარჩიოთ, ვფიქრობ
ვისაც გული სამშობლოსთვის უძგერთ.
მამულისთვის თავდადებულთ იცით
უფლის თვალი მწყალობელი უმზერს.
მამასახლისთ ვთხოვოთ ხეობებიდან,
მოხევეთგან ჩქარეულსა თათარას,
მთიულთ ბენიაიძეს და ორთ ბედოიძეთ,
გუდამაყრით ჩობალაურს ომანას...
ლოცვით ანთებს შიო წმინდა სანთელს,
ჯვარით ხელში ეკედრება გამჩენს:
მწყალობელო შეგვეწიე თორემ
გაგვწყვეტავენ, ვერ ავიტანთ ამდენს...
ბრძოლისათვის ხეობების მცხოვრებთ
იარღი აისხითო, - სთხოვეს,
გავრეკოთო მოძალადე რუსები
მანამ ყველამ სამარე არ ვპოვეთ...

თავისუფლების წართმევის საფრთხე
დიდველის თავში ბომბივით გასკდა
მთისშვილთ იარაღს დასტაცეს ხელი
და აჯანყებაც მთის საზღვრებს გასცდა...
ზე აიჭრნენ საარაგვოს ხეობები, -
თერგიც, თრუსოც, მაღრან-დვალნი,
მათ მსწრაფლ გვერდით ამოუდგნენ
ფშავნი, ქსნელნი, და ხევსურნი.
თეთრი არაგვის გაღმა-გამოღმა
ჭართალს, ცხავატს და მლეთას
აზანზარებდა ზარბაზანთ ბათქი
თესდა შიშსა და ელდას...
სტეფანწმინდიდან ანანურამდე

უტიეს, ჟლიტეს მომხვდურთ გუნდები,
უთანასწორო წააგეს ბრძოლა
ტყვეებს დაადეს ფეხზე ხუნდები....
აჯანყებულთა თავკაცთა შორის
ჩემს დიდ წინაპარს სამუკა ერქვა,
დღემდე არ ვიცით მისი სამარე
ერთმა ზეცაში თუ იცის ღმერთმა...
უტეხ მთის შვილთა დამჩოქებელი
მაინც ქართველი, ქართული გონი,
გორელ თავადთა შთამომავალი
სულგაყინული ციციანოვი.
.... ეს მთის მცხოვრებნი აზროვნების მხრივ
პირუტყვისაგან არ სხვავდებიან,
თავად დავრწმუნდი მათთან საუბრით“.
მოახსენებდა ხელმწიფეს გვიან -
მაგრამ განგების ნება მაღალი
არ გადიხარა მცირედით, მისხლით,
მას თავი მოსჭრეს სადღაც, ბაქოსთან
მუსლიმანებმა აგვიღეს სისხლი....
..... ბოროდინოს გმირად გახდომამდე
ქართლ-კახეთმა კრძალვით გთხოვა შეწევნა.
მუქარით სავსე პასუხმა თქვენმა
ჩამოსვლა დიდხანს არ დააყოვნა:
„თუ კვლავაც მესმა მეფის აუგი
და არ იქნებით მისი ერთგული,
ჩამოვალ, მაგრამ, აღარ დაგრჩებათ
სადმე ქვა-ქვაზე ზედ დადებული“...
აი, პასუხი მხედართმთავარის,
იესე მეფის ნაშიერისა,
ფეხზე ეკიდა მას ქართლ-კახეთი
მონად ქცეული იმპერიისა....
.....თბილისში როცა არ დგას ძეგლები
თავდადებულის, სვიმონ მეფისა,
არც ბრწყინვალეა წარმოჩენილი,

ქვეყნის პატივი არც სხვათ ეღირსა...
შენ კი, - პარტიამ კრწანისის ველზე
არაგველებთან ძეგლი დაგიდგა,
ასე აგდება სამასი გმირის???
ო, დიდო ღმერთო! – ის რა დრო იდგა!
P.S.
ქართველ მეფეთა გვარისა
რუსეთს შობილის, გაზრდილის,
არაგველებთან კრწანისში
ძეგლის ადგილი არ არის.
უპრიანია, გენერლის
ძეგლი ვაჩუქოთ რუსეთს,
მისსავე ნასაფლავარზე
ბოროდინოში იდგეს....

***

იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო
როცა დარწმუნდა დედამიწა მართლა ბრუნავდა,
აღტაცებულმა აღმოჩენით ისე იკივლა
მთელს იტალიას გადაევლო მეხის გრგვინვადა.
„აღმოჩენისთვის“ კათოლიკეთ წმინდა მამებმა
კოცონზე დაწვა მიუსაჯეს ჯორდანო ბრუნოს -
ცეცხლზე იწვოდა ჯორდანო და ბრბოს მიჰკიოდა
„მალე ირწმუნებთ უგუნურნო რომ მართლა ბრუნავს“....

***

ენით უთქმელი სიხარული
ზეცით მოძღვნილი,
წამგვარა უნდო და ვერაგმა
წუთისოფელმა,
ჩემი პირველი შვილიშვილის
ოთხი თვის ნიკას -
მხოლოდ ღიმილი მისახსოვრა
ავისმყოფელმა....

***

აჰა, გასრულდა ჩემი სიცოცხლის
წყალში ჩაყრილი ცამეტი წელი
ეს ბნელი ორმო, უკან დამრჩალი
გასახსენებლად იქნება ძნელი...

***

ოთხმოც წელს იქით გადასულს
აღარ მეშლება, ვხვდები,
მიშრება სიცოცხლის წყარო
და დღემუდამა ვხმები.
ჯანმრთელობასაც დაბზარულს
ვეღარ ვპატრონობ, ვუვლი,
თვალებში ბინდი ბობოქრობს
კვნესის დაღლილი გული.
გასვლა სიცოცხლის ფინალში
მწარე ყოფილა, ძნელი,
დღეთა ნათელთა სანაცვლოდ
მელის სამარე ბნელი.
ამ ქვეყნად მოსვლა დღემდე
გამჩენის ნებით ხდება,
მისივე ნებით ცოცხალი
ყველა უკლებლივ კვდება.
იმ ქვეყნის უცხო სულეთში
მინდა, არ მინდა - წავალ,
ფართოდ გაღებულ კარებში
რიდით და კრძალვით შევალ.
რაა სულეთი? როგორი?
ეს მხოლოდ ზეცამ იცის,
ადამის მოდგმის შვილებმა
დღემდე არარა ვიცით...

ჯარჯი

დაბადების დღეს გილოცავ,
ლექსად მოგართმევ დილითა,
დღეს „ჯიპით“ მიმქროლ-მომქროლსა
ხვალე არ გევლოს ვირითა.....

***
რწმენა გამყარდა ჩემში
რაზიკაშვილო ლუკა,
შენი „მოხუცის ნათქვამი“ -თ
სიცრუის ჩონგურს უკრავ.
...“აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი
მოხევე-გუდამაყრელნი,
შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენი ერთგულნი ქართველნი“.

აქ მთიულთ, ქართლელთ, ხანდოელთ
ყოფნა რად არ სურს მოხუცსა?
უთუოდ რაღაც საბაბით
ხელი სომრუდით წაუცდა.
თქმულა: - „სამარის კარამდე
არ მივა შეუცდომელი“-
ღმერთმა შეუნდოს მოხუცსა
საფლავს თან ჩაჰყვა რომელიც.
საარაგვოდან გლეხების
ომში წასული შვილების -
კრწანისის ველზე დამრჩალთა
მართლის თქმას გვთხოვენ სულები.
კრწანისის ველზე სამასი
დღეს ნაღდად ვიცით ვინც იყო,
მათთან ფშაველი? ხევსური?
ერთი კაციც კი არ იყო.
ოტებულ მეფის მადევართ

ჟინვალს კლდედ აღმართულები
დაუხვდნენ ფშაველ-ხევსურნი
გვერდს მდგომი შამშადილებით.
ისტორიკოსთა მოთხრობით
იქაც ყოფილა სამასი
ყველა ფშავ-ხევსურთ შვილები
რკინის მკვნეტავი ვაჟკაცი.
შამშადილებთან ერთადა
აჩქერეს სისხლის ღვარები,
მტერმა ვერ შეძლო გაეღო
შმაგი არაგვის კარები.
აქ ბრძოლა ფშაველ-ხევსურთა
არვის ეგონოს არაკი,
მცხეთას მტკვარს უერთდებოდა
სისხლით ნაღები არაგვი.
ოთხი ათასი სპარსიდან
ორასიოდე თუ დარჩა -
სირცხვილნაჭამი სარდალი
ქალბალი ხანიც გადარჩა.
თავზარდაცემულთ მოკურცხლეს
შემრულთ სიკვდილის შიშითა,
ეახლნენ აღა მაჰმად ხანს
ხოხვით და ვაი-ვიშითა...
...მსტოვართ გადმომცეს შაჰინშაჰ
ცნობა დამცემი თავზარის,
გურჯთმეფეს შეუკრებია
უზარმაზარი ლაშქარი.
მთიულეთს ელის რუსის ჯარს
თან მოჰყვებიან ლეკები, -
ბრძოლებში გამოწრთობილნი
მსგავსნი ვეფხვების ლეკვების.
...იქნებ ვიფიქროთ გაცლაზე
ხომ მოვაოხრეთ თბილისი,
ამ ღამით მოვემზადოთ და

ჩემი ჰობი პოეზიაა

ჯარი ავყაროთ დილისთვის...
-დასტური მითქვამს! - საჭურისს
რჩევა ჭკუაში დაუჯდა,
მეორე დღისით ურჯულოთ
ჯარი ადგა, გზას გაუდგა....

***

დღემუდამ იმასა ვცდილობ
საქმე არ მქონდეს შართანა,
ჩემზე თქვან : - უკეთესი ხარ
ვიდრე იყავი შარშანა.

***

ყველა მოძრავი არსება
ხმელეთზე, ცაში, წყალში,
ავი, დაუნდო, ცბიერი
ადამის ძეა მთაში.

***

იუბნე მშვიდად.
გონით გათვალე.
ნათქვამში ჭექდეს
მწარე სიმართლე.

***

ლექსის მჭედელის ვალია
გულგასახარი რითმები.
მკითხველის გულში ჩაყაროს
ტკბილი, საამო ფიქრებით.

***

დღეს დავაკვირდი
ჩემს თავს სარკეში
შუბლზე მორცხვად კრთის
ორი ნაღარი,
თმას გადავხედე
და მასაც მკრთალად
ფერი გადაჰკრავს
უკვე ჭაღარის.
ორეულს ვკითხე:
რას ელი ხვალე?
არარა მკითხოთ -
თავი დახარა.
არაფერსაო
მაგრამ ლოდინმა
დამაბერა და
წელში მომხარა.
მე ვიცი „ხვალე“
რომ მომაკითხავს
გვერდით გადამწევს
მაცქერალს მზისა.
ბნელში გამგზავნის
გაღმა მარილზე,
სადაც არვის ჰყავს
მეგზური გზისა.
12.08.1972

სიმართლეს, სიმართლეს გაუმარჯოს!

ხელში კალმის აღებისთანავე უფალს შევევედრე:- სიმართლის სათქმელად გამსარჯე და მათქმევინე -მეთქი ბოლომდე.

მე, დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მწერლები და პოეტები მხოლოდ სიმართლეს და სინამდვილეს უდებენ სარჩულ-საფუძვლად თავიანთ ნაწარმოებებს, მაგრამ... თურმე ძალიან, ძალიან ვცდებოდი...

როცა წავიკითხე ერის საამაყო და უსაყვარლესი ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათქვამი“, რაც, ჩემდა სამწუხაროდ, მანამდე წაკითხული არ მქონდა, - გავოგნდი და ძალიან, ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი. პოემა მთლიანად ტყუილია.

მეფის დაძახილზე იკრიბება ლაშქარი და საომრად მიდის. ღრმა ღელეში გასული მთის წვერზე შეამჩნევს მეფეს თავისი ამალით. ვაჟას ლაშქრის მონაწილენი აჰყავს ერეკლესთან და ლაშქარს ასეთ მიმართვას აკეთებინებს:

ფშაველ-ხევსურნი
მოხევე -გუდამაყრელნი:
შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენი ერთგულნი ქართველნი“.

ვაჟა საერთოდ არ ამბობს სიტყვას მთიულებზე. რატომ? მთიულეთის გულში, ფასანაურში მცხოვრებთა უმრავლესობამ იცის, რომ ფასანაურელებმა ვაჟა გვარიანად გალახეს. რატომ? - ვაჟას სახელი მისმა თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ. და იცოდნენ ფასანაურშიც. გადმოცემით, ერთხელ, მათ ვაჟა დაპატიჟეს და იმ დროისათვის კარგი პურ-მარილი გაუშალეს. კარგად შეზარხოშებულმა ერთ-ერთმა მთიულმა მიმართა ვაჟას: - შენ მთელ საქართველოს უყვარხარ. ჩვენც, მთიულებსაც, მათზე მეტად თუ არა,

ნაკლებად არ გვიყვარხარ და მთიულებსა და ჩვენს კუთხეზე არას ამბობ; იქნება ჩვენზეც დაწერო რამე? გადმოცემით, ვაჟამ ხუმრობით თუ ნამდვილად, ასე უთხრაო მთიულებს: - მომეცით ამდენი მსხვილფეხა და წვრილფეხა(ძროხა, ხარი, ცხვარი) და თქვენზეც დავწერო.
სასმელისაგან, და ისედაც, ფხუკიან მთიულებს მეტიც არ უნდოდათ. როგორ თუ შენ ქრთამს გვთხოვო? და ... ვაჟა კარგა გვარიანად მიბეგვეს.

მთიულეთში შემორჩენილია ძველთა ნათქვამიც: „შეუცდომელი სამარის კარს არ მივაო“ . იქნებ...
დიახ, ყველა ვცოდავთ, მაგრამ ვინ რაში და როგორ? - ესაა საკითხავი. დავუშვათ, რომ ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“, სიმართლეა. იბადება ლოგიკური კითხვა: ოტებულ ერეკლეს მადევარ ლაშქარს ჟინვანთან ვინ გადაუდგა წინ? ვაჟა პოემაში რომ არ ახსენებს, - მთიულებს, - ისინი? არა და არა. აი, სწორედ აქ დახვდა ფშაველ-ხევსურთა სამას კაციანი ლაშქარი ორას შამშადილელ მუსულმან მებრძოლთან ერთად ერეკლეს ყმად ნაფიც ალი სულთანის მეთაურობით, რომლებმაც გაუგონარი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით შეუტიეს ქალბალი ხანის ოთხი ათასიან შენაერთს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ქალბალი ხანმა სიკვდილს გადარჩენილ ორასიოდე მებრძოლით ძლივს გაასწრო და მოკურცხლა თბილისისკენ. სიკვდილსგაქცეული ლაჩრები თავდახრით, მუხლზე მხოხვები, კისერზე ხმალჩამოკიდებულნი ეახლნენ საჭურის აღა მაჰმად ხანს და მდაბლად მოახსენეს ყოველივე. ქალბალი ხანმა ისიც აუწყა, რომ ერეკლეს დუშეთში დიდი ლაშქარი მოუგროვებია და რუსთა ჯარს ელოდება ჩვენზე თავდასასხმელადო.

მანამდე კი იყო ავადსახსენებელი, სადაც 1795 წლის 11 სექტემბერს მთიულეთ-გუგამაყრელ და მოხევეთა 300 კაციანი შენაერთი გაუგონარი სიმამაცითა და თავგანწირვით შეება ურჯულოთა უზარმაზარ ლაშქარს. მტრის უმრავლესობამ და ძალამ თავისი გაიტანა, სამასივე არაგველი სამუდამოდ დარჩა კრწანისის ველზე. ერეკლე დამარცხდა.

მე, პაპა გარდამეცვალა 1948 წელს, როცა ვიყავი 15 წლის და კარგად მახსოვს მისი მონათხრობი: ქალაქის(ჩემი პაპა თბილისს ყოველთვის ქალაქად მოიხსენებდა, მე კი ბავშვს იმდენი ცოდნა არ მქონდა, მეკითხა - თბილისს რატომ არ ამბობ-მეთქი?)ბოლოში დიდი მინდორია თურმე და „კრწანისი“ ჰქვიანო. იქ თათრებთან ერეკლეს უომნია და ამირთიდან(„ამირთა“ ჩემი სოფლის ძველი სახელია) შვიდი წასული ვაჟკაციდან ყველანი დაღუპულანო. იგი მათ სახელებსაც ასახელებდა და მე დღემდე მახსოვს ორის გარდა: - ნასყიდა, სამუკა, ფიდო, თედო, გიგო.

აღდგომის მეორე დღეს, მთაში არსებული წესის მიხედვით, დღემდე მივდივართ საგვარეულო სასაფლაოზე და საფალავებთან ვიგონებთ გარდაცვლილებს. თითოეული ოჯახი თავისი მიცვალებულებისთვის სუფრას მინდორზე შლის და ბიძაშვილებს და ყველას თხოვს მიცვალებულებისთვის შესანდობარის თქმას. ყველა სუფრაზე იხსენებენ შინმოუსვლელთ, 1941 – 1945 წლებში დაღუპულ 19 ვაჯკაცს და მამულისთვის თავდადებულებს კრწანისში თუ სხვაგან. ეს წესად დამკვიდრდა ამირიძეთა გვარში და იარსებებს მანამდე, სანამ სოფელი იარსებებს.

სამშობლომ უკვდავსაყოფად, კრწანისში დაღუპულთ (არაგველებს) დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაუდგა ძეგლი.

სამწუხაროდ, ძეგლის სამხრეთით, გარკვეულ მანძილზე „რუსეთუმე“ ქართველებმა ძეგლი დაუდგეს ყიზლარში დაბადებულ, გარუსებულ, გენერალს პეტრე ბაგრატიონს, რომელსაც საქართველოსთვის საერთოდ არაფერი გაუკეთებია გარდა რამდენიმე მუქარის შემონათვალისა. სიცოცხლე რუსეთს შესწირა და ჩემი აზრით, მისი ძეგლი კრწანისში არ უნდა იდგეს. იქნებ რუსებს ვაჩუქოთ, რომ ბოროდინოში მის აფეთქებულ ნასაფლავარზე დადგან.

აწ განსვენებული პოეტი შოთა ნიშნიანიძე ლექსში „სერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან „კიდევაც დაიზრდებიან“(ძეგლი აღმართულია ქ. მარნეულის შესასვლელთან და საამყოა ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის)ამბობს: „ყივის თუ არა ქართული სისხლი ისევ სოლომონ კითხულობს ბოღმით, პასუხად დინჯი ხორხოცი ისმის ჯუბა-ჯვრიანი სამასი მოყმის“. -- ჯვრებიანი ჯუბა ხევსურების საკუთრებაა და მათ ამაში ვერავინ შეეცილება საქართველოში. ლექსის ავტორი ცდება და ცოცხალი რომ იყოს, ასეთ კითხვას დავუსვამდი: „კრწანისის ომში დაღუპულ სამას არაგველს რომ ჯვრიანი ჯუბები ჩააცვით და ხევსურებად მოიხსენიეთ, საფუძველი გქონდათ-მეთქი? ან თავის მოსაზრებას (დამასაბუთებელს) გამანდობდა, ან ბატონ მუხრან მაჭავარიანივით მიპასუხებდა, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

იმავე წიგნის მე-18 გვერდზე დაბეჭდილია

ხევსური

სამასი არაგველის ხსოვნას

„და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა
ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართაგან“.
აქ ყველაფერი გასაგებადაა ნათქვამი. ამ ლექსის სათაურშივე ამბობს ავტორი, რომ სამასი არაგველი ხევსურია, რაც ტყუილია და სიმართლესთან არაფერი აკავშირებს.

ბატონი ლევან სანიკიძე წიგნში „სამას-სამასი“ 125-ე გვერდზე წერს: „ერეკლემ მცირე ხნით ცხენი შეაყენა თავისი ვაჟიშვილის ვახტანგის გუნდთან. აქ სულ მთიელები იდგნენ. მათ შორის იყო სამასი თუში და ფშავ-ხევსური. სამასი არაგველი გლეხი. წინ შვიდი ძმად შეფიცული ვაჟკაცი იდგა მკლავი-მკლავგადაჭდობილი.“ გასაოცარი ტყუილია: თუში და არაგველი გლეხი??? ვის შეუძლია ამ ტყუილის გამართლება?
„..სარწმუნოა, რომ სამასივე სათითაოდ მკერდში ჩაიკრა და ყოველ მათგანს მტერთან საომრად გადადგმული ყოველი ნაბიჯი მამაშვილურად დაულოცა. სხვა არა იყოს, იმ წინა შვიდეულ ძმადნაფიცართა გადახვევას მაინც მოასწრებდა“ (ეს მკითხველმა განსაჯოს, რა ვარაუდებით საუბრობს ავტორი და საკუთარ თავს ამტყუვნებს თავადვე). ავტორმა თუშები და ხევსურები მათთან ერთად აომა. ეს სიცრუეა. თუშები არაგველების გვერდით? შემდეგ ავტორი აგრძელებს: ჟამად შვიდი საათი იქნებოდა, როცა სოღან-ლუღის ვიწროებში ერთურთს შეებნენ სპარსთა და ქართველთა მეწინავე ძალები. ვახტანგ ბატონიშვილმა იშიშვლა ხმალი და დასხლიტა ცხენი. გველისპირულები

გაიარეს არაგველებმა. შვიდი ძმადნაფიცი დაწინაურდა არაგველთაგან და პირველნი მიწვდნენ ირანელთა დროშებს. ლომის ღერბიანი დროშები კბილებით დაფხრიწეს. ზავთი და ლაზათი შეემატა არაგველთა საომარ ყივილს. ჩეხდნენ ქართველები, მაგრამ თავადაც იჩეხებოდნენ. ... სამასი არაგველიც აღარ იყო სამასი.

კატასტროფის ჩარხი ელვის სისწრაფით დატრიალდა. იმერთა მეფემ, მეფე ერეკლეს შვილიშვილმა და წერეთელმა იმერთა მეომრები საბრძოლო მოედნიდან გაიყვანეს და იმერეთისკენ გაქუსლეს. სიმართლეს ვამბობ, ეს ჩემი აზრით იყო ქვეყნისა და მეფის გაუგონარი ღალატი, რაც ერეკლეს არც გაუგია. ერეკლე საკუთარმა მეომრებმა იძულებით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან და საარაგვოსკენ აიღეს გეზი. „უკანასკნელნი არაგველნი მათგანვე დაჩეხილ მტრის გვამთა გროვაზე ესვენნენ შორიდან ნატყორცნით მკერდშელეწილები“.

კრწანისის ომი დამთავრდა. მტერი ზეიმობდა. იწვა15000 სპარსელ-თურქმანი და 3000 ქართველი. აქედან 300 არაგველი. სამასი წმინდა ღვთაებრივი გმირი“.

2010 წლის მარტის თვის დასაწყისში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში(მაშინ იქ ვმუშაობდი) შემოიტანეს ახლად გამოცემული წიგნები და ნულოვან სართულზე მაგიდებზე დაალაგეს გასაყიდად. მე წიგნების მოყვარული ვარ და ყურადღებით გადავათვალიერე. ბოლოს იდო ბ-ნ მუხრან მაჭავარიანის წიგნი. სარჩევიდან შევიტყვე, რომ ჩემთვის უცნობი ლექსი იყო დაბეჭდილი. ლექსს ერქვა „რუსობანა“.

იქვე წავიკითხე ლექსი და გამაოცა ორმა პწკარმა:

„ის იყო მკვდრეთით დგებოდა
გმირი ხევსური სამასი...“

აქ ბუნებრივად დამებადა კითხვა: - რატომ ჰგონიათ წარმოშობით დასავლეთ საქართველოელ პოეტებსა და მწერლებს რომ კრწანისში დაღუპულ მოხევეთა, გუდამაყრელთა და მთიულთა სამასკაციანი ლაშქარი ხევსურები არიან?

როგორც იქნა, ბ-ნ მუხრანის ტელეფონის ნომერს მივაგენი და დავურეკე. ჩემდა გასახარად, თავად ბ-ნ მუხრანი შემხვდა ტელეფონზე. მე მას თავმდაბლად მივესალმე, პატიება ვთხოვე რომ შევაწუხე მის ასაკთან ახლოს მყოფმა წარმოშობით მთიულმა კაცმა, მისი ლექსების მოყვარულმა, და ზეპირად ვუთხარი ჩემთვის გულში ჩამწვდომი სტროფები... ბოლოს კი იმ ლექსის შესახებ შევეკითხე, რომელმაც მოსვენება დამაკარგვინა: - ბ-ნო მუხრან, თქვენს ახლად გამოცემულ კრებულში დაბეჭდილია ლექსი „რუსობანა“, სადაც ამბობთ:

იყო მკვდრეთით დგებოდა
გმირი ხევსური სამასი...“

რა გქონდათ საფუძვლად და საყრდენად როცა ამ სიტყვებს წერდით? რითი ამტკიცებთ, კრწანისის ომში დაღუპული არაგველები რომ ხევსურები იყვნენ? ... და პასუხს დაველოდე. მისი დუმილი ალბათ სამასი(შეიძლება მეტიც!) წუთი გაგრძელდა და მაფიქრებინა, ყურმილი ხომ არ დამიკიდა-მეთქი... როცა - ზუსტად ამ სიტყვებით მიპასუხა: (ხატზე დავიფიცებ, რომ ეს ასე იყო).

„-იცით, მოარულად ასეა ნათქვამი“...

მე: -ბატონო მუხრან, თქვენ რიგითი პიროვნება არ ბრძანდებით. თქვენი განათლებით, ინტელექტით და თქვენი პოეზიით ძალიან მაღალი ხართ და ... მოარული ნათქვამებისა გჯერათ?

კრწანისის ომში ხევსურები მხოლოდ პირად მცველებად ახლდნენ მეფე ერეკლეს. ხევსურებმა და ფშაველებმა(იქაც

სამას კაციანმა გუნდმა(ისტორიკოსთა ცნობით) და ერეკლეს ყმადნაფიცმა ალი სულთანმა ორასი შამშადილელი მუსულმანი მეომრით გაუგონარი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინეს ჟინვანში და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ოტებული ერეკლეს მადევარი ოთხიათასიანი შენაერთი...
ბ-ნი მუხრანი: - „მაგის გამოსწორება შეიძლება, ეგ ძნელი საქმე არ არის“...

მე დიდი მადლობა მოვახსენე და ერთხელ კიდევ ვთხოვე პატიება რომ შევაწუხე და ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ვუსურვე, მაგრამ... დაპირება დაპირებად დარჩა... ჩემდა სამწუხაროდ, ტელევიზორს ვუყურებდი, როცა ბატონი მუხრანი კათედრაზე იდგა და დარბაზს მიმართავდა, სადაც მოულოდნელად ჩაიკეცა... ფეხზე წამოვდექი და უფლის იმ ხატისკენ გავიხედე, სახლში კედელზე რომ მიკიდია: - ღმერთო გადაარჩინე, ღმერთო გევედრები... მაგრამ, ამაოდ... ბატონი მუხრანი გარდაიცვალა. ზუსტად მახდოვს: 2010წლის 17 მაისი.
ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს სამშობლოს საამაყო და ღირსეული პოეტი შვილის სული.

არ შეიშლება გვერდი ავუარო აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკოს პროფესორს, აწ განსვენებულ იოსებ(სოსო) გაფრინდაშვილს, რომელიც თავის დროზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მეც მასწავლიდა ფიზიკას. კრებულში „ჩემი ჰობი პოეზიაა“ გაოქვეყნებულ პოემაში „ სამასი - I – II - III “ - ში წერს: „მთა მუდამ იყო სამშობლოს გმირულ დამცველთა ფესვიო, თვის სიტყვას იტყვის სამასი გუდამაყრელი მწყემსიო“ .

ბ-ნ იოსებს(მაშინ ცოცხალი იყო, ოღონდ სმენის პრობლემა ჰქონდა). დავუკავშირდი ტელეფონზე და

შევეკითხე: სამასივე არაგველი გუდამაყრელებად რომ მონათლეთ, რაშია-მეთქი საქმე? „ისტორიკოსების დაწერილი წიგნებით ვიხელმძღვანელეო“ - ასეთი პასუხი გამცა. მიჭირს თქმა, მაგრამ, აწ განსვენებული სოსო არაა მართალი, რომ სამასი არაგველი ყველა გუდამაყრელებად მოიხსენია.

ესა სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

სამამულო ომის ვეტერანის ნაამბობი

უბატონო მთიულეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ამირთკარში, რომელსაც ამჟამად ამირნი ჰქვია, 1925 წლის 10 მაისს ფილიპე ამირიძის ოჯახში პირველი შვილი დაიბადა. რომელსაც სახელად ვანო დაარქვეს.

ვანომ მეზობელი სოფლის ჩირიკის შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა. მისი მამა კოლმეურნეობის ცხვარს მწყემსავდა, ზაფხულში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ხოლო ზამთარში დაღესტნის ასსრ-ის ნოღაის ველებზე - ყიზლარში. 1943 წელს, ვანო მე-18 წელში გადამდგარი კომუნისტებმა დაიჭირეს, „მოხალისედ“ მონათლეს და სამხედრო სამსახურში გაამწესეს. ვანომ საბჭოთა ჯარებთან ერთად ბრძოლით განვლო პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია და ბერლინამდე ჩავიდა. განვლილ გზაზე ოთხჯერ ღმერთის შეწევნით გადაურჩა ნაღდ სიკვდილს. სამჯერ ბომბის აფეთქებულ მიწადაყრილი იხსნეს თანამებრძოლებმა... ომი დამთავრდა, მაგრამ... ვანოს ასაკის თაობის ყოფილი მეომრები გამოიყენეს დანგრეული ქვეყნის აღდგენით სამუშაოებზე და 1949წელს დემობილიზაციით დაუბრუნეს მშობლიურ სოფელს.

რა უნდა ექნა ვანოს, მას ხომ მხოლოდ შვიდი კლასი ჰქონდა დამთავრებული? - მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. თავმჯდომარის მოადგილედაც აირჩიეს, მაგრამ.. ვანომ კოლმეურნეობა მიატოვა და თბილისში ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში დაიწყო სწავლა. სამი წლის შემდეგ დაამთავრა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ახლად გახსნილ ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1957 წელს დაამთავრა „სამკურნალო ფიზკულტურის“ სპეციალობით და იმავე წელს ქ. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში დაიწყო მუშაობა, სადაც დაუღალავი შრომით მალე მიაღწია წარმატებას და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტიც დაიმსახურა. ჰქონდა კერძო პრაქტიკაც და ხშირადაც იწვევდნენ მთავრობის ხელმძღვანელებთან სამკურნალოდ...

კურორტში მან პენსიაზე გასვლამდე იმუშავა და დღესაც კი მას ბინაზე აკითხავენ ჯანმრთელობის მაძიებლები, მაგრამ ოთხმოცდამეათე წელში გადამდგარი შრომით დაღლილ-დაქანცული ვეტერანი ის აღარ არის, რაც იყო. მხედველობა დაქვეითებულს აღარც ფიზიკური მდგომარეობა უწყობს ხელს, რომ ძველებურად იშრომოს... მას ნუცუბიძის ქუჩაზე#1-ში მივაკითხეთ. ომის დროინდელი ეპიზოდების მოყოლის შემდეგ თავისი ბავშვობის დროინდელი შემთხვევის შესახებაც გულწრფელად ისაუბრა:

„1937 თუ 1938 წელი იყო, დედაჩემმა კალათში კვერცხები ჩააწყო და პაპამ მითხრა(მამა მაშინ ცხვარში იყო, ყიზლარში): ეს კვერცხები არ დაგემტვრეს, წადი ფასანაურში, იქ ფოსტის შენობასთან ვიღაცას კვირა-დღისით ქალაქიდან(თბილისიდან) ამოაქვს მანქანის

კამერები და კვერცხებზე ცვლის. აქ, ამ კალათში იმდენი კვერცხია, რამდენიც ერთ კამერას უნდა.

აპრილის ბოლო იყო. კალათით ე.წ. შარაგზაზე ჩავედი და იმავე დროს ფასანაურის მხრიდან სამი შავი „ემადინი“ მოვიდა. ჩვენი ხევის მარცხენა მხარეს გაჩერდნენ. ერთი მანქანიდან სათვალებიანი კაცი გადმოვიდა და ჩემსკენ წამოვიდა. მე, რატომღაც, შემეშინდა, კვერცხები არ წამართოს-მეთქი, მაგრამ ის კაცი მომიახლოვდა და მითხრა: გამარჯობა ყმაწვილო. მე ჩვენებურად ვუპასუხე: - გაგიმარჯოს. მას გაეღიმა და მკითხა: - რა გვარი ხარ? - ამირიძე. ვუპასუხე. - მამაშენი სახლშია? - არა, კოლექტივის ცხორშია, ყიზლარში. კალათში რა გაქვს? - კვერცხები. ფასანაურში მიმაქვს, „მაშინის“ კამერაზე უნდა გავცვალო. კამერა რად გინდა? პაპამ რეზინის *ქალმები* უნდა გამიკეთოს. ტყავის *ქალმები* მალე ცვდება და იხევა და - ფეხებზე დავიხედე. იმ კაცმა ღიმილით ამხედ-დამხედა და მანქანიდან ვიღაცას დაუძახა. ის კაცი სირბილით მოვიდა ჩვენთან, რომელსაც სათვალებიანმა უთხრა: -ერთი ცალი „ზაპასნოი“ კამერა აიღე და ამ პატარა ბიჭს მიეცი. მე კი ამ სიტყვებით მომმართა: ეგ კვერცხები უკან წაიღე. დედამ ერბოკვერცხი გაგიკეთოს და შენ ჭამეო. მიბრუნდა და მანქანებისკენ წავიდა. იმ მეორე კაცმა სულ ახალი კამერა მოიტანა და თქვა: „სახლში წაიღე, ეს კამერა ლავრენტი პავლოვიჩმა გაჩუქა“. მაშინ მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე გახარებულმა და სახლისკენ თითქმის სირბილით ვიარე. გზად სიტყვებს: „ლავრენტი პავლოვიჩი“, „ლავრენტი პავლოვიჩი“ - ვიმეორებდი. სახლში ასულმა ყველაფერი მოვუყევი პაპას და დედაჩემს.

გვიან, ძალიან გვიან გავაცნობიერე, ვინ იყო ლავრენტი პავლოვიჩი. - და მაინც - თურმე ის ასეთი კეთილიც კი იყო
„იმ“ დროს...“.
ასე დაამთავრა თხრობა ვეტერანმა.

რწმენა
(კომუნისტური)

მე, როგორც დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, დავბადებულვარ ღამით. მაშინ თქვესო, შვილო, რომ ხვალ პირველი მაისი თენდებაო... დედა არ აკონკრეტებდა, ღამის 12 საათამდე დავიბადე, თუ 12-ის შემდეგ. ... თუმცა, იმ დროს ჩემს მიყრუებულ სოფელში ზოგმა არც იცოდა საათი რა იყო. როგორც ყველა ბავშვს, მეც ბავშვობიდან შემომრჩა ჩემი აუხდენელი ოცნება. ოცნება კი იყო: ძალიან მინდოდა ჩემი სოფლის მოპირდაპირე სოფლის არაგვის გაღმა კობაიძეთა მთაზე ავსულიყავი. ცაზე გადმოვსულიყავი და ჩემი სოფელი კარგად დამეთვალიერებინა...

1940 წელს სოფელ ჩირიკის რვაწლიან სკოლაში მიმიყვანეს. სკოლა ორსართულიანი იყო. პირველი კლასიდან მე-4 კლასის ჩათვლით ვსწავლობდით დილით. ხოლო შუა დღის მერე სწავლობდნენ მე-5 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით.
ე.წ. „სამამულო“ ომმა ერთი წელი დამაკარგვინა და სკოლა 1949 წელს დავამთავრე. იმავე წელს სწავლა ფასანაურის საშუალო სკოლაში გავაგრძელე და მეთერთმეტე კლასის დამთავრებისას ოჯახში განვაცხადე, რომ სწავლის გაგრძელება მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში. კეთილის მსურველთა და ზოგიერთი მასწავლებლის რჩევა გავითვალისწინე და გადავწყვიტე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამებარებინა მისაღები გამოცდები. საჭირო საბუთების მოგროვება-მოწესრიგებაში „სამამულო“ ომის მონაწილე და ზესამსახურიდან დაბრუნებული ძმა დამეხმარა, რომელიც თბილისში ე.წ.

ფიზკულტურის ტექნიკუმში სწავლობდა. ძმამ საბუთები გადმომცა და მითხრა: ფასანაურის სასოფლო საბჭოდან დაბადების მოწმობა აიღე, ამ საბუთებით ჩადი დუშეთში და პასპორტს მოგცემენო. მე ძმის მითითება შვასრულე და დუშეთში ჩავედი. მივედი იქ, სადაც პასპორტი უნდა ამეღო. სამი თუ ოთხი პიროვნების შემდეგ მომიწია რიგმა პასპორტისტ ქალბატონთან.(როგორც მახსოვს, მას ნათელა ერქვა, გვარად ბიძინაშვილი გახლდათ).

ამ ქალბატონმა საბუთები გადაათვალიერა და სასოფლო საბჭოდან აღებულ ცნობაზე ბრძანა: - „ეს რა ცნობაა? პირველ მაისს როგორ დაიბადებოდიო???“ და ე.წ. „ფორტოჩკიდან“ რომ ვუყურებდი, - ერთიანს უკან ექვსიანი მიუწერა და დაბადების დღე 1 მაისი - 16 მაისად აქცია და 16 დღით გამაახალგაზრდავა.
ჯერ ხომ პაპაჩემის საუბრებიდან კომუნისტებზე უარყოფითი განწყობა მქონდა; ამ ქალბატონმა მთლად შემაძულა კომუნისტები... ასეა დღემდე. არასოდეს გადამიხდია არც დამახინჯებული და არც ნამდვილი ჩემი დაბადების დღე. კომუნისტურმა რწმენამ ეს დაღი დამასვა სამუდამოდ. გვიან მივხვდი, რომ ის ქალბატონი მოწამლული იყო კომუნისტური შხამით, ასე სწამდა, ვერაფერს იტყვი.
ღმერთმა შეუნდოს ქ-ნ ნ. ბიძინაშვილს.
მეც მიპატიებია.

კარი მეორე

ნესტორ(ალიოშა) რეხვიაშვილი

დაიბადა 1928 წლის 20 მარტს, ონის რაიონის სო. ჭიორაში. დაამთავრა სოფ. ჭიორის შვიდწლიანი სკოლა, შემდეგ ადიგენის 11 წლიანი საშუალო სკოლა წარჩინებით. 1947 წელს მოეწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1953-56 წლებში მუშაობდა ყაბარდო-ბალყარეთის მე-3 და მე-9 საშუალო სკოლებში ლოგიკის, ფსიქოლოგიის, სსრკ ისტორიის მასწავლებლად. 1961-74 წლებში მუშაობდა ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრაზე. 1968 წ. დაიცვა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1974 წ. 1 თებერვლიდან გადმოყვანილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიიღო პროფესორის წოდება. შეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და უცხო ენათა ინსტიტუტში. 1995-96 წლებში მოღვაწეობდა ახალციხის უნივერსიტეტში.
არის რამდენიმე სახელმძღანელოსა და სამეცნიერო შრომის ავტორი. ამჟამად იმყოფება პენსიაზე, როგორც პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდი.

***

ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც ყოველ გავლისას თავს მუდამ დაბლა ვხრიდი.
ამ ხიდზე შეგხვდი პირველად, პირველად მოგკარ თვალი,
მას შემდეგ აღარ გაყრილა ჩვენი ცხოვრების კვალი.
ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც სიამოვნებით ყოველდღე გავივლიდი.
ამ ხიდზე ვიგრძენ პირველად მე მკერდში ცემა გულის
სიცოცხლის მშვენიერება, სურნელი გაზაფხულის.
ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
ფეხს ფრთხილად დავაბიჯებდი, ზედ მუხლსაც მოვიყრიდი.
შევეცდებოდი ჩემს სულში მთელი სამყაროს მოცვას,
და ყველაფრისთვის მადლობით ღმერთს აღვუვლენდი ლოცვას.
ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც წუთით დგომასაც ბედნიერებად ვთვლიდი.
ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
ზოგისთვის იქნებ პაწია, ჩემთვის კი მეტად დიდი.

***

ფრთები დააჭრეს არწივებს,
არწივობს ბერი ქედანი.
დახოცეს ბედაურები,
ვის დარჩა აწ მოედანი?
მზე ჩაიფერფლა, დაბნელდა,
მბჟუტავი კვარი მზედ არი.
ცოცხალი მკვდარს დაემსგავსა,
ცოცხალს ემსგავსის ცხედარი.
ქვეითი ცხენზე ამხედრდა,
ჩამოქვეითდა მხედარი
მამაცნი დალაჩრებულან,
ლაჩარი ლაღობს, მხნედ არი.
მოახლე გამეფებულა,
სამეფო მოახლედ არი.
სკოლას განაგებს მეწაღე,
აღმზრდელი მეწაღედ არი..
ღორის კოლტს მწყემსავს მესაზღვრე
მეღორე მესაზღვრედ არი.
უვიცი ცოდნას იჩემებს,
სწავლული ხარაზად არი.
ვინც ზღუდეს უნდა გვიგებდეს
ქვეყნის სანგრევად მზად არი.
მტერი მოყვრობას გვპირდება,
მოყვარე აღარსად არი.
კუპრს დაემსგავსა ლამაზი,
მხარე ედემის სადარი.
ასეთი უკუღმართობა
მითხარით, სხვაგან სად არი!?

სიტყვის ფასი

ეს ზღაპარი 1957 წელში, ადიგენში, სოფელ ჭეჭლაში ჩემი მეუღლის ბიძის, 107 წლის კოტე გამყრელიძის ნაამბობის საფუძველზე ორ საღამოს ჩავწერე ლექსად სკოლიდან მოსვლის შემდეგ, სადაც დირექტორად ვმუშაობდი.

იყო მეფე ჩინდებული
ხალხს მტრად გადაკიდებული.
მრისხანე და შემზარავი,
მოყმისთვისაც მეტად ავი.
ვინც კი ნახეს პირმღიმარი
ან მწოლარი ტკბილმძინარი,
მეფემ ბრძანა ჩამოახრჩეთ
მხიარული არვინ დარჩეს.
წუხდნენ შინ და წუხდნენ გარეთ
დასტიროდნენ თვის ბედს მწარედ.
მეფემ არვინ გაახარა,
ყველა წელში მოიხარა..
რად ბრაზობდა მეფე ასე
სიმდიდრით და ფულით სავსე.
ან ყოველდღე რად ტიროდა
ეს არავინ არ იცოდა,
მხოლოდ მეფის ქალიშვილი
იყო მუდამ ფრთაგაშლილი.
ყველას ნუგეში ის იყო,
მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო,
დილით როგორც კი დგებოდა,
ტკბილ ლამაზ ხმაზე გალობდა.
მეფე მამა კი ბოროტი
მის დაბადებას ნანობდა.
მეფემ იხმო ვეზირები
დინჯი, სიტყვამეძვირენი.

უთხრა: წადით, მოიარეთ,

ძებნეთ ყველგან, შინ და გარეთ.
დავრდომილი, კუტი, მუნჯი
ბიჭი ვინმე მომიყვანეთ.
მინდა იგი ჩემს ქალიშვილს
მარად შევრთო, ვინ დამიშლის.
მაშინ ვნახავ ჩემს ციცინოს,
თუ რამდენი გაიცინოს.
არ სწუხს მეფის ქალიშვილი
ვინც გინდ იყოს კაცის შვილი,
ვერ მომადენს თვალზე ცრემლსა
მაინც ვიტყვი ჩემს სათქმელსა.
ქმარსაც გავხდი მხიარულსა,
პატივს არ ვცემ ოქროს ფულსა,
ვენაცვალე კეთილ გულსა.
მეფისაგან გაგზავნილთა
მოიარეს მთლად ქვეყანა,
მაგრამ არვინ შეეყარათ
ერთდროულად მუნჯი, კუტი,
რომ ეხმარათ მასზე კნუტი.
ბრუნდებოდნენ მდუმარეთა
მეფისათვის რაღა ეთქვათ,
დააღამდათ ერთ ტყის პირას
ნახეს ქოხი ხეთა ძირად.
თქვეს: - მასპინძელს მივაკითხით
დავრჩეთ ღამით, მასაც ვკითხოთ
ხომ არა ჰყავს მუნჯი, კუტი
რომ ვიხმაროთ მასზე კნუტი.
სუფრასა შლის დედაბერი
სუფრა არის თოვლისფერი.
კედლის უკან მეტად ავი
ხმა მოისმა შემზარავი.
შეეკითხნენ დედაბერსა
რას უნდა ნიშნავდეს ესა?
ეგ ხომ ჩემი შვილი არის

ენამუნჯი, ხეიბარი.
როს რამე სურს, აგრე ყვირის
არ სურს, - გდია როგორც მკვდარი.
        გაიხარეს მეფის ხალხმა
გაგვიღიმა ბედის ჩარხმა.
მაგეთს ვეძებთ დიდი ხანი,
გადმოვლახეთ ტყე და მთანი.
        გაუკვირდა დედაბერსა.
ამისთანა თქვენსა მტერსა,
თუ არ გჯერა მეფის ქალსა
თვითონ სახლში მოგიყვანთა.
ეს უთხრეს და ზეწარმოდგნენ
მეფისაკენ გზას დაადგნენ..
        მოიყვანეს მეფის ქალი
მხიარული, არ მტირალი.
დედაბერი მიეგება,
ფიანდაზად მას ეგება.
        უთხრა: შვილო ეს რად გინდა,
ნუთუ საქმროდ სხვა გაჭირდა?
თუ გსურს ვიყო შენი რძალი,
შემივრდომე მეფის ქალი.
        კნუტით სცემა მანამდისა,
სანამ არ თქვა სიტყვა თვისი..
მაგრამ ქალმა მოუმატა,
ბიჭმაც მოძრავს მოუმატა.
        გამოადგა კარგი რძალი
გაუმაგრა მის შვილს ძვალი.
ოქროს მჭედელს მიეზარა,
სახლში შრომა არ იკმარა.
        სურას ყიდის უბადლოსა,
ვინც კი მივა მის ახლოსა,
გაკვირვებით თვალებს ჭყიტავს
რომ საკვირველ საგანს ხედავს,
მაგრამ ფასის თქმას ვერ ბედავს.

ვიღაც კაცი მოახლოვდა
თეთრი წვერი პირს უმკობდა,
მან აიღო ხელში სურა
და შეძენა მოისურვა.
უთხრა, გინდა ფული მოგცე
ან სიტყვები რომ გადმოგცე,
რომლებიც, რომ სჯობდეს ფულსა
სალაროში შენახულსა.
ამ ბიჭს ძლიერ გაუკვირდა
გადაწყვეტა გაუჭირდა,
მაგრამ სიტყვა ფულს არჩია
ჭეშმარიტი გაარჩია.
„თუკი უყვარს კაცი კარგი
მასზე იტყვის არის კარგი“.
„როცა სადმე დაგიღამდეს
სულ რომ ძილი ფეხს გიკრავდეს
არ ჩამოხტე დაბლობზედა,
შესძელ ასვლა მაღლობზედა“.
„სანამ საქმეს არ შეხედო
მოქმედება არ გაბედო“.
გამობრუნდა უკან ბიჭი
ცოლმა უქო სახლში ნიჭი.
ეგ სიტყვები სჯობსა ფულსა
სალაროში ჩადებულსა.
ქარავანი სოვდაგართა
შორს სავაჭროდ გაემართა.
მათთან მიდის ბებრის ვაჟი
გადიხადა მანაც ბაჟი.
სოვდაგრებმა საქონელი
შეფუთეს და ყველგან ზიდეს,
გაყიდეს და სხვა იყიდეს
მიაღწიეს ქვეყნის კიდეს.

შემობრუნდნენ მიდამოში,

მოხვდნენ ერთ მშრალ უდაბნოში.
არსად ჩრდილი, არსად წყალი
ცხელმა ქვიშამ დასწვათ თვალი.
მაგრამ ნახეს ერთ კლდის ძირას
ცივცი წყარო გადმოდისა,
ვინც ჩაუშვეს თოკით ხევში
გადიჩეხა ნაპრალებში.
ბებრის ვაჟის ჯერიც დადგა
მანაც ხრამში ფეხი ჩადგა..
ფრთხილად იცდენს ნაცვენ ქვებსა
მშვიდად აღწევს ხრამის ფსკერსა
ხრამის ფსკერთან მდგარ სახლთანა
წევს ცხოველი ვეფხვისთანა.
ვეფხვმა თავი რომ აიღო
კოშკის კარიც გამოიღო.
დაუძახეს - შემოდიო,
ჩვენთან რისთვის ჩამოდიო.
ვაჟი იჯდა სკამზე ერთი
მოხდენილი, როგორც ღმერთი.
მუხლზე ეჯდა მას ბაყაყი
საზარელი და საჯაყი.
ვაჟი კოცნის, ტანს ხვევს ხელსა
უალერსებს საზარელსა.
კითხა: - არის გასაოცი
რომ საზარელ ბაყაყს ვკოცნი?
ბებრის ვაჟმა უპასუხა
და ღრუბლებშიც დაიქუხა.
„თუკი უყვარს კაცი კარგი
მასზე იტყვის არის კარგი“.
ასეაო, დაიფიცა
არც შეშინდა, არც გაიქცა.
და ბაყაყი მუხლზე მჯდომი
უცებ ლამაზ ქალად იქცა.
მასპინძელი წამოვარდა

სიხარულით ბიჭს მივარდა
ვინც ეგ არ თქვა, ყველა ვხოცე
და ქვეყანა გავაოცე.
შენ გხვდა წილად ეს ძვირფასო,
მსურს ამაგი დაგიფასო,
მეტი თხოვნა აღარ გინდა
ზიდოს ხალხმა წყალი წმინდა.
წყალიც მისცა, ფულიც მისცა
და სტუმარი გააცილა.
ბებრის ვაჟმა გაიხარა
მადლი თქვა და უკუ იქცა.
დააღამდათ ერთგან გზაზე
დაღლილები იყვნენ ძალზე.
ნაბიჯს აღარ დგამენ წინა
ერთ დაბლობზე დასცეს ბინა.
ბიჭმა უთხრა: ძველებს უთქვამთ
„როცა სადმე დაგიღამდეს
სულ რომ ძილი ფეხს გიკრავდეს
არ ჩამოხტე დაბლობზედა,
შესძელ ასვლა მაღლობზედა“.
დაუჯერეს, კვლავ წავიდნენ
ძილიდან თვალს ძლივსა ხსნიდნენ.
ბებრის ვაჟი მიდის წინა
ერთ გორაკზე დასცეს ბინა.
ცამ ღრუბელი მოიმატა
ელვამ რკალი გამოხატა
წამოვიდა წვიმის თქეში
და დაიწყო ძირს თარეში.
დიდხანს არ დამდგარა დარი
აღარ ჩანდა დაბლა ბარი.
და გადარჩა ქარავანი
მთის მწვერვალზე ბინად მდგარი.
ბებრის ვაჟი სიამითა
შორს, რომ იყო ათი წლითა,

შინ ბრუნდება სიმღერითა.
აი, მისი კარმიდამო
დედი! ჰაუ, გარეთ გამო.
მაგრამ ქოხი სადღა არის
ხეთა ძირად წამომდგარი.
ქოხის ნაცვლად სასახლეა
ნეტავ იქ ვინ ასახლია,
ხმა მოისმის ალერსისა
ვის ეკუთვნის ნეტავ, ვისა?
ვაჟს თვალებში დაუბნელდა
თოფს დაუწყო ფრთხილად წმენდა,
მაგრამ უცებ გაახსენდა:
„სანამ საქმეს არ შეხედო
მოქმედება არ გაბედო“.
მეორე კარს მიაშურა
შუბლზე ოფლი მოიწურა.
იქ რბილ ტახტზე იჯდა დედა
შემობრუნდა, შვილს შეხედა.
დედამ შვილს რომ მოუსმინა
გულიანად გაეცინა.
ეგ ხომ შენი ვაჟი არის
კარგმა ცოლმა რომ შეგძინა.
შრომით სახლიც აგიშენა
დაგახვედრა კარგი ბინა.
გაიხარა ვაჟმა დიდად
რომ დაუხვდა საქმე წმინდად.
მოეხვია ცოლს და შვილსა
ვარდებივით გადაშლილსა.
და სთქვა ვაჟმა: მართლაც სიტყვა
უეზარი, ხალასია
მას ვერაფრით ვერ აწონი
ყველაფერზე ძვირფასია.

მეორე ვარიანტი ლექსისა - პატარა ხიდი

ნეტავი კიდევ მაჩვენა მე ის პატარა ხიდი,
ზედ მდგომი, გახარებული წარბსაც არ შევიხრიდი.
თუმცა დავბერდი, დავსუსტდი, ოთხმოც წელს გადავცილდი.
ჩამოვისხამდი შავ ღვინოს, ყანწს ყანწზე გამოვცლიდი,
ვიქეიფებდი დილამდე, სასმისს არ გამოვცვლიდი.
მოგაგონებდი ბევრ რამეს, გულზე დარდს მოგაცლიდი,
თუ შეუძლოდ გახდებოდი, წამალსაც მოგაწვდიდი.
გმადლობ, რომ ჩემთვის ჩაუქრობ ვარსკვლავად ამობრწყინდი.

იესო ქრისტე

ჯვარს ეკრა, კაცობრიობის
ხსნისათვის ეწამებოდა,
ღმერთს სჯიდნენ გოლგოთას მთაზე,
საკვირველება ხდებოდა.
ბრბო უმეცარი, ველური
ჯვარცმულს გარშემო ესია
როდი უწყოდნენ ცოდვილნი
რომ მათ წინ იყო მესსია.
უფალის მარჯვნივ და მარცხნივ
ჯვარს ეკრა ორი ყაჩაღი,
ერთი მათგანის სიტყვებში
გამოკრთა რწმენა ჯანსაღი.
მან იესოში შეიცნო
ზეკაცობრივი ბუნება
შესთხოვა უფალს შენდობა,
ცოდვილი სულის კურნება.
იქვე შეუნდო უფალმა,
შეუქო ჩანაფიქრები;
უთხრა: ჩემს გვერდით დღესავე
სასუფეველში იქნები.
ჯვარზე იესოს დამსჯელ რაზმს

ლონგინოზ მეთაურობდა.
იმისი თვალი ყველაფერს
აკვირდებოდა, ყურობდა.
სასწაულებში რაც იმ დღეს
გარდმოავლინა ზეცამა,
შეიცნო ჭეშმარიტება
ქრისტეს სჯულისთვის ეწამა.
ქრისტეს წამების მხილველნი
საგონებელმა მოიცვა.
ბევრი მათგანი განათლდა
და უფლის გზაზე მოექცა.

***

მთელი გულით, სულით გონებით
გწამთ, ილტვით მისკენ გიყვართ ღმერთი,
ქრისტეს მთავარი ორი მცნებიდან
დაგუფლებიათ თქვენ უკვე ერთი.
თუ როგორც თავი საკუთარი, გიყვართ მოყვასი,
ქრისტეს მთავარი ორი მცნებიდან
დაგუფლებიათ თქვენ მეორეც და მეტად ძვირფასი.
თუ მოახერხებთ მტრის სიყვარულს, მოშურნის ლოცვას,
გაასხივოსნებთ თქვენს თავსა და თქვენს გარემოცვას.

***

იესო ქრისტე, მაცხოვარო მწყემსო კეთილო,
მერწმუნეთ, გულში წარუშლელად ამოკვეთილო,
უგნურთა მიერ ჯვარზეცმულო და განკვეთილო.
გზააბნეულებს გთხოვ ზეცისკენ აახედვინო.
მარად ქალწულო ღვთისმშობელო წმინდა მარიამ,
გადაგვაფარე გადამრჩენი ეგ შენი კალთა
და შეისმინე წრფელი გულით გამონათქვამი
ლოცვა, ვედრება ჩვენი ქვეყნის კაცთა და ქალთა.

***

იესო ქრისტე, ჩვენო მხსნელო
ჩვენთვის ტანჯულო,
უზენაესო მოსამართლევ
ქვეყნის მსაჯულო,
ჩვენზე ზრუნვასა და სიყვარულში
მთლად დახარჯულო
შენს გზას ამცდარი ქართველები
გთხოვ, მოარჯულო.

***

ბევრი წავიდა თაობა,
ბევრს ეყო გამბედაობა
ბევრი ეცადა გაეგო
ამ წუთისოფლის რაობა.
ახლაც წარმოებს უწყვეტად
ბჭობა, მსჯელობა, დაობა,
მაგრამ ერთია პასუხად:
ის არის არარაობა.
ჭეშმარიტება ერთია
არავის გაუკვეთია
ყველაფრის თავი და ბოლო
მხოლოდ მაღალი ღმერთია.
მთელი სამყაროს შემქმნელი
ერთარსება და სამპირი.
მისგან მომავალ სიკეთეს
არ უჩანს ბოლო ნაპირი.

მან განაკაცა ძე თვისი
ცოდვილიანთა სახსნელად
ბრმათათვის თვალთასახელად
ყრუთათვის სმენის გამხსნელად.
მოფინა სრული ნათელი
მადლი წმინდისა სულისა

მან უწყის როდის დადგება
დრო-ჟამი დასასრულისა.
განკითხვა მტყუან-მართალის
გარჩევა თხის და ცხვარისა.
სატანის განადგურება
სუფევა მაცხოვარისა.

დიდება შენდა წმინდაო
ღმერთო ძლიერო, უკვდავო,
ყველა ის აცდა ჯოჯოხეთს
ვინც შენსკენ შემობრუნდაო.
მას, ვინც ეშმაკის კვალს გაჰყვა,
ქრისტეს ბარაბა არჩია -
ღმერთისა სასუფეველში
ადგილი არ გააჩნია.
ეშმაკის კერძთა საქმენი
ვამხილოთ, არ გავიოცოთ
ჯვარსა და ხატებს ვემთხვიოთ,
უფლისა მიმართ ვილოცოთ.
ვილოცოთ, რათა გადავრჩეთ,
ვაღოთ სამოთხის ბჭენია,
ამაზე საშური საქმე
ამ ქვეყნად რა დაგვრჩენია..

ყველაფრისათვის მადლობა
შევწიროთ წმინდა სამებას,
ის გვფარავს და გვიმსუბუქებს
ყოველგვარ ტანჯვა-წამებას.
ვთხოვოთ, ვინც მართავს სამყაროს
ჯერ ცოდვა-ბრალი შეგვინდოს
და სოფელს მერე გაგვყაროს

აღსარების წინ გამოსათქმელი ლექსი

უფალო ღმერთო, გავეცანი ცოდვათა სიას,
მათ შორის ერთიც კი არ არის, ტვირთად არ მედოს.
ჩემებრ ცოდვილი რით წარუდგეს წმინდა მესიას
და პატიების გამოთხოვა რით გაუბედოს.
მაგრამ რადგანაც ღვთის წყალობით მოველ ტაძარში
და მომესურვა სინანულის ცრემლებით ლოცვა,
არ ჩავინთქები, იმედი მაქვს, ცოდვის ხანძარში
გამეწმინდება ცოდვათაგან მე გარემოცვა,
დიდება მაგ შენს ძლიერებას წმინდა სამება,
შემიმსუბუქე ცოდვილიანს ტანჯვა-წამება,
მომეც რწმენაში განმტკიცების ძალა და ღონე,
რათა ეშმაკის ცდუნებაში აღარ გავება.

უძღები შვილის დაბრუნების იგავისათვის

კაცსა ერთსა გონიერსა,
ზნე კეთილს და ნიჭიერსა
ორი ვაჟიშვილი ჰყავდა,
ორივე ძლიერ უყვარდა.
ერთხელ, მამას ერთმა შვილმა
მოხდენილმა, მხარგაშლილმა
ცალკე გასვლის თხოვა ნება,
დაყოვნება არ ინება.
მამამ შვილს კუთვნილი მისცა
და გზა-კვალი დაულოცა.
ისიც ადგა, გზას დაადგა,
მაგრამ შავი დღე დაადგა.
მიღებული დაეხარჯა,
ვერ ეცადა, ვერ იმარჯვა,
გაღატაკდა, გამათხოვრდა
ლუკმა-პურს ვიღას არ სთხოვდა.

ბოლოს სხვა გზა აღარ ჰქონდა,
მამამისი მოაგონდა.
თქვა: გზას მისკენ გავუყვები
და მოახლედ დავუდგები.
დაბრუნდაო, - მამას ამცნეს.
მამამ ასე უთხრა მაცნეს:
საკადრისად ემსახურონ,
სუფრა უხვად დაუხურონ.
მიეგება და დალოცა,
არ მოაკლო ხვევნა-კოცნა.
უთხრა: მოდი, შვილო ჩემო.
აწი დარდი არ მაჩვენო.
შინ მყოფი მოვიდა შვილი,
სუფრა დახვდა მას გაშლილი.
საყვედურით უთხრა მამას:
რად მართავდი უხვ სმა-ჭამას?
მან თავისი ხომ მიიღო,
აქ მაგისი რაღა იყო?
მამამ უთხრა: ჩემო კარგო
ჭკუას უხმე, არ დაკარგო.
ეგ შვილი ხომ მკვდარი მყავდა,
გამიცოცხლდა, გამიხარდა,
სამარეში ფეხი ედგა
ახლა ის სწორ გზაზე შედგა.
ღმერთიც, დიდი, დააკვირდი
უნდობს, ვინაც შეინანა.
თუ გზას ამცდართ არ მივხედეთ
დაიქცევა ეს ქვეყანა.

რჩევა ჩვენს ერს

ისევ შფოთი, ისევ ბუნტი,
ისევ განხეთქილება
შინა აშლილობისაკენ.

რად გვაქვს მიდრეკილება -
სწორედ მაშინ ავირევით
როცა გვინდა ერთობა;
როდემდე უნდა გაგრძელდეს
ჩვენში ეს უღმერთობა?
„რაც მტრობას დაუქცევია“
სიყვარულს აუგია.
ამ სიბრძნის გამომთქმელ ხალხში
მტრობა ვის გაუგია?
მაგრამ ვაი, ბრძნულად ნათქვამს
საქმით რომ ვერ ვამშვენებთ.
ასეთ ქცევით ჩვენ ღირებულს
ვერაფერს ავაშენებთ.
მტერ-მოყვარე გავარჩიოთ,
თვალში გამოვიხედოთ,
ნუ ვკინკლაობთ, სამაჩაბლოს
და აფხაზეთს მივხედოთ.
შევრიგდეთ და ერთმანეთის
სიყვარულით აღვივსოთ,
გარეშე მტრებს გამარჯვება
ჩვენზე აღარ ვაღირსოთ.
თუ ასე არ მოვიქცევით
ყოფნა გაგვიჭირდება,
რომ გადავრჩეთ, ამისათვის
ერთად ყოფნა გვჭირდება.

***

ზაურ თოლორდავას

გავეცან შენგან დაწერილს
ლექსებს და მინიატურებს,
მათ შენზე ჩემი ნაფიქრი
სისწორე დამიდასტურეს.
ის, რომ ხარ ნიჭით აღსავსე
სიტყვის ოსტატი, მხატვარი

პატარა დაფიქრება და
მარგალიტებიც მზად არი.
მათში შენ აფრქვევ მშობელი
ქვეყნის და ხალხის სიყვარულს
და იწვევ ყველა მკითხველში
კმაყოფილებას, სიხარულს.
გისურვებ ჩემო ზაური
მხნეობას, წარმატებასა.
აქ შევჩერდები და შევწყვეტ
მართლაც საქებრის ქებასა.
ეჭვი ნუ შეგეპარება
ყველაფერი ვთქვი მე სწორი.
მოგესალმები, გეხვევი
რეხვიაშვილი ნესტორი.

ომარ და ციური მინდიაშვილებს

დაბადების დღეს გილოცავთ
ჩვენო ომარ და ციური.
გწყალობდეთ მაღალი ღმერთი
და ყველა ძალა ციური.
უღელქცეშ ერთად თქვენ სწიეთ
ცხოვრების მძიმე ჭაპანი
და ასახელეთ ნამდვილად
ეგ თქვენი მამა-პაპანი.
ოჯახი კარგი შეჰქმენით
მტკიცე და პატიოსანი.
ჰიმნს გიმღერებდით ყოველდღე
მართლა რომ ვიყო მგოსანი.
იცოცხლეთ დიდხანს ჯანმრთელად
იყავით მხარ-ბეჭ გაშლილი,
თქვენი მტერი და მოშურნე
გენახოთ ნერვებაშლილი.
შვილებთან, შვილიშვილებთან

გქონოდეთ ტკბილი კავშირი.
გაამოთ დაბადების დღეს
პურ-მარილი და სმა ხშირი.
გქონოდეთ ძველი ქიწნურა
ვაზმა რომ გამოიწურა
დიცში, რომ სულ უსამართლოდ
ნესტორმა გამოიწუნა.

ბატონ დემურ გოთოშიას, # 69 სკოლის დირექტორს

გვსურს მოგმართოთ ორი სიტყვით
თქვენ, ბატონო დირექტორო!
მკაცრო და სამართლიანო
მჭერმეტყველო ორატორო.
კეთილო და საქმიანო,
სკოლის დიდო მოამაგე
სკოლისა და აღზრდის საქმე
კვლავ შემართებით განაგე.
პედაგოგთა დიდ კოლექტივს
მტკიცე გუნდად აყალიბებ.
აღმზრდელის და აღსაზრდელის
ფიქრს და სურვილს კარგად იგებ.
ამის გამო იმსახურებ
სიყვარულს და დაფასებას.
საოცარი ხიბლი ახლავს
თქვენს ქცევას და მოქმედებას.
ჩვენ გისურვებთ ჯანმრთელობას
და სიცოცხლეს ტკბილს და ხანგრძლივს.
ეამაყოს თქვენს სკოლიდან
ყველა გასულს - გოგო-ყმაწვილს.

მომღერალ რამინ მიქაბერიძეს

რამინ, ქართველო ვაჟკაცო
ნამდვილ საოცარ ხმიანო
მოგესალმები გულთბილად
მსურს სიტყვით შეგეხმიანო.
შენგან ყოველი ნამღერი
ისეთი სამურია,
როგორიც შენი მშობელი
და ტკბილი მხარე გურია!
ჩვენი კულტურის წინაშე
დიდი გაქვს დამსახურება,
ამდენი ღვაწლის დამდები
მე ბევრი არ მეგულება.
ქართულ ვოკალის სიმდიდრე
ნიუანსებში გაიგე -
და ამით სახელ-დიდების
მარადი ძეგლი აიგე.
როცა ეგ შენი საამო
ხმა ქართველს ყურში მისწვდება,
მას შენი დიდი სახელი
არასდროს დაავიწყდება.
გისურვებ ყველა სიკეთეს
ჯანმრთელობას და მხნეობას,
ქართველთა გასახარებლად
ხანგრძლივად მოღვაწეობას.
რომ გახდე უფრო მრავალი
უკვდავი ჰანგის ავტორი,
მუსიკალური ფოლკლორის
მესაჭე და ნოვატორი.
აქ შევაჩეროთ კალამი
დავუდოთ რითმებს საზღვარი.
პოეტი ხომ არ გგონივარ
ლექსებით გაუმაძღარი.

ვარ მხოლოდ კაზმული სიტყვის
პატივმცემელი მოყვარე
და კმაყოფილი იმითაც,
თუ კაცს პირს ღიმი მოვგვარე.

ეთერ თათარაიძეს

ეთერო თათარაიძევ!
დიდებულო თუშის ქალო
მრავალი შენი სიკეთე
მე არ ძალმიძს ჩამოვთვალო.
პოეტი ხარ ჭეშმარიტი
დიდოსტატი ქართულ სიტყვის
შენი მაღალი ღირსება
ენით ძნელად გამიოთქმის.
ეძებ, აგროვებ, ინახავ
ქართულ ფოლკლორის ნიმუშებს,
შენი ტკბილი ხმა ეთერში
თითქოს იარებს გვიშუშებს.
კარგი დედა ხარ აღმზრდელი
კარგი შვილების მშობელი.
მტკიცე, ერთგული მეუღლე
ოჯახის შემამკობელი.
გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს
ჯანმრთელობას და მხნეობას
ლიტერატურის სფეროში
ხანგრძლივად მოღვაწეობას.
შეგექმნას ბევრი შედევრი
ორიგინალი ქმნილება,
ქართული ნიჭიერების
ნამდვილი გამოვლინება.
ბევრი ვერა ვთქვი, რაც მსურდა
რაც კი ვთქვი, არის ის სწორი.
გულთბილად მოგესალმები

რეხვიაშვილი ნესტორი.
დღეს უსინათლო მოხუცი
ოთხმოცდაოთხი წლის კაცი
ადრე მოძრავი, მოღვაწე
მოქმედი, არა ზარმაცი.
აქ შევაჩეროთ კალამი
დავუდოთ რითმებს საზღვარი.
პოეტი ხომ არ გგონივარ
ლექსებით გაუმაძღარი.
ვარ მხოლოდ კაზმული სიტყვის
პატივმცემელი მოყვარე
და კმაყოფილი იმითაც,
თუ კაცს პირს ღიმი მოვგვარე.

სურვილი

ო, როგორ მინდა ჩემს მშობელ ხალხს
ჩემს მშობელ მიწას
კრძალვით მივუძღვნა შესაფერი
კაზმული სიტყვა,
მაგრამ რას ვიტყვი მასზე მეტს და
მასზე უკეთესს,
რაც დაიწერა, რაც აჟღერდა
რაც უკვე ითქვა.
ო, როგორ მინდა ჩემო ხალხო,
ჩემო ქვეყანავ,
არა თუ სიტყვით, საქმითაც რომ
მოგემსახუროთ,
მაგრამ, სად ძალმიძს გავაკეთო ისეთი რამე
რომ ამ მხრივ სხვათა დიდ ღვაწლს
ჩრდილი გადავახურო.
ჩემო სამშობლოვ, ჩემო ხალხო,

მხოლოდ ერთში კი
არ მსურს ჩამოვრჩე სხვებს და ამის ვარ მოხარული:
ეს არს ჩემს გულში უხილავად შემოპარული
დედა ენისა, მამულის და ღვთის სიყვარული,
„ენა, მამული, სარწმუნოება“

ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილს, როინს
დედის - ელენე(ლენა) გამყრელიძის თხოვნით

მინდა ლექსი გამოგითქვა
ჩემო ბიჭო ნიჭიერო
შენი კარგი საქციელი
მსურს რითმებში გავაჟღერო.
იმთავითვე, ბავშვობიდან
იყავ წყნარი და დინჯი
ცხოვრებაში სწორი არის
ყველა შენი ნაბიჯი.
ვინც ირგვლივ გყავს, გაგიხარდეს
შვილი და შვილიშვილი,
წარმატება არ მოაკლდეთ
ჰქონდეთ ფრთები გაშლილი.
პატივსა გვცემ მშობლებს და დას
დისშვილსა და მოყვარეს,
არ ღალატობ, გვერდს უდგიხარ
კარგი საქმის მოთავე.
დიდხანს იყავ ქვეყანაზე
ჯანმრთელი, კარგად მყოფი,
ყველანი კმაყოფილი გყავს
სადაც კი ხარ ნამყოფი.

ჩემო ქვეყანა

ჩემო ქვეყანა შენს სადღეგრძელოდ
ღვინო ჯიხვის რქით მრავალჯერ შევსვი.
ქართველო ხალხო იცოცხლე მარად
მშობელ კუთხეში ღრმად გედგას ფესვი.
არ შემოგაკლოს ღმერთმა წყალობა
ერთგულ შვილების ხვევნა-ალერსი,
ამოგწყვეტოდნენ მოღალატენი
ზურგში საცემად მახვილის მლესნი.
გაგმრავლებოდნენ ერის, კულტურის
მამდიდრებელნი, უძვირფასესნი.

ელენე გამყრელიძე-რეხვიაშვილისა

დაიბადა 1929 წლის 3 აგვისტოს ონის რაიონის სოფელ უწერაში. დაამთავრა 9 კლასი. 1947 წ. დაამთავრა ადიგენის 11 წლიანი საშუალო სკოლა. ამავე წელს დაინიშნა ბიბლიოთეკის გამგედ და დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1961-65 წლებში დაამთავრა სავაჭრო ტექნიკუმი. 1977წლამდე მუშაობდა ქ. ნალჩიკში, მაღაზიაში. 1978-90 წლებში თბილისის უნივერმაღში. ამჟამად პენსიაზეა. ქალბატონი ელენე(ლენა) გახლავთ ალიოშა(ნესტორ) რეხვიაშვილის მეუღლე. მათ ჰყავთ ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილიშვილი.

ჩემებს, ყველას

მხედავდი და შენთვის ვიყავ
ჩაუქრობი შუქ-ლამპარი
ვერა მხედავ? გეფიცები,
რომ მხედავდე უსათუოდ
შეგიპყრობდა ჩემზე დარდი.
ვხარობდი, ვმხიარულებდი,
გვერდით მედგა კარგი ქმარი,
მაგრამ ბედმა არ დაინდო
და წაერთვა ხედვა თვალის.
მოვხუცდი და გაქრა ღიმი,
შემეცვალა სახის კანი,
დავუძლურდი და ამიტომ
შემომაწვა გულზე დარდი.
ღმერთსა ვთხოვ, რომ მიდღეგრძელოს
ჩემი კარგი მონაგარი.

მოვკვდები და მე წამეღოს
თუ რამე აქვთ გულში დარდი.
ვუსურვებდი ყველა მათგანს
ჩემს შვილებს და მათ მომავალს
ჯანმრთელობას და სიცოცხლეს
რომ იარონ ნათელ გზაზე,
უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

***
ჩემი ყოფნა ამა სოფლად
ვიცი დასრულდება მალე.
და, ეს ლექსი მოგაგონებთ
თქვენზე მზრუნველ მშობლის სახეს.

მაიკოს

ამ ჩვენს პატარა მაიას
უყვარს შოკოლადის წამა.
თუ შოკოლადს არ მიართმევთ
აღარ უნდა პირის ბანა.

ალიოშას

წევს ბაბუა. რადიოთი
ისმენს ქვეყნის ამბებს.
არყის ბოთლებს ასე დასცლის
არ სთავაზობს არვის.

ეკას ბებიასაგან

საფრანგეთში გაგვიფრინდა
ჩვენი მარგალიტი
ღმერთო, მიეც გამარჯვება

და ცხოვრება მშვიდი.
გაგვიფრინდა ჩვენი შვილი,
ჩვენი დიპლომატი.
უპოვნია საფრანგეთში
სიყვარული დიდი,
მისი სახელი გრეგორი
ფრანგი არის იგი.

ქენი ღმერთო ბედნიერი
მისი ეს ნაბიჯი.
გაამრავლე და აყოლე
კოხტა გოგო, ბიჭი.

არცერთ მათგანს არ მოაკლოს
გონება და ნიჭი.

ჩვენს და შენს შორის ეკუნა
მანძილია შორი.
გიცოცხლოს და გიდღეგრძელოს
ეგ შენი გრეგორი.

ას წელზე მეტხანს ერთმანეთს
შეაბერდით ტკბილად.
ვინც პატივს გცემთ და უყვარხართ
მოგვიკითხეთ თბილად.

კარი მესამე

ნანი გაჩეჩილაძე

ხაშურის სამუსიკო სკოლის მასწავლებელი, სატელევიზიო გადაცემის „დიადემის“ წამყვანი და რეჟისორი, გამოცემული აქვს ლექსების კრებული

ღმერთმა დაგლოცოთ, კათალიკოსო!

უწმინდესისა და უნეტარესის
ილია მეორის 80 წლისთავის საიუბილეოდ

ზეცა საავდროდ მოღრუბლულია,
ვგრძნობ, რომ ღვარცოფი წალეკავს მიწას.
წამოვა სეტყვის კაკაფონია,
რამდენს გავუძლოთ, ო, რამდენს ვიტანთ...
სტიქია გვიტევს, გვიტბორავს ბინებს,
სულში გამეფდა სინდრომი შიშის,
ნანგრევად ქცეულ სახლის კედელზე
თქვენს სახეს ხატავს პატარა ბიჭი.
მერე ჩურჩულით გიბედავთ სათქმელს
და ეს სათქმელი ერის ფიქრია,
„გადაგვირჩინე დედულ-მამული,
ხალხის ქომაგო, ბრძენო ილია!
თქვენა ხართ ერის ზეშთაგონება,
გვედრით, უბოძოთ ურწმუნოთ , - რწმენა,
გთხოვთ, დაგვიბრუნოთ სულის საკვებად

უზენაესი ქართული ენა!
შემოგვაგებე მზერა ღვთიური,
რომ მოგვირჩინო სულის იარა
და თქვენგან ნაკურთხ წმინდა საქმეში
გაგვრიე კეთილ თანაზიარად.
რომ განვასხვავოთ ერთმანეთისგან
ჭეშმარიტი და ყალბი მცნებანი,
რომ სუფთა გრძნობით ვიცხოვროთ ქვეყნად
და ავიცილოთ ავი ვნებანი.
განკითხვა, დასჯა და ბრალდებები,
თქვენთვის უცხოა, - თვლით ბოროტებად,
ერს მოუწოდებთ, რომ სიყვარული
მოიშველიოთ ერთურთს სალხენად.
უწმინდესო და უნეტარესო
ერის მოძღვარო და ერის მწყემსო
ტაძრისკენ მოსვლის უფლება მოგვეც,
თქვენ ეგ მისია უფლისგან გერგოთ.
გვედრით მორჩილად თქვენი შვილები
ღმერთს და ჩვენს შორის ჩაგვიდგეთ შემწედ,
რომ კვლავ ვახაროთ ფესვი ვაზისა,
კვირტმა იხაროს გადამწვარ ხეზე.
სამასმეერთე არაგველს ველით,
მირონი აცხეთ, ნებით უფლისა,
ცხრა ძმას მეათე ძმა ელოდება,
ზარებს დარეკავს ძველო „უბისა“.
„უბისის“ ზარებს ეხმიანება
„სამება“, „ზარზმა“, „სვეტიცხოველი“,
თქვენს სიცოცხლისთვის სანთლებს ანთებენ
ლაშქრად ქცეული ყველა მლოცველი.
მერე, იქნება, მზეც ამოვიდეს,
დიდმა წვიმებმაც გადაიღოსო,
თქვენთვის ლოცულობს ყველა ქართველი,
ღმერთმა დაგლოცოთ, კათალიკოსო!
მშვიდობა თქვენდა!

ეძღვნება შვილიშვილებს

ქარო, ქარო, მისამართი გეშლება...
აქ მზე მზეობს, ჩვენთან კარგი დარია.
არ შეაკრთო ქარბუქით, ქარაშოტით
ნანა, თამარ, დემეტრე და მარიამ!
მათთან მალე მოფრინდება ღუღუნით
ფრთაქათქათა თეთრი მტრედი ფარფატა,
ზეთის ხილის ტოტს აჩუქებს პატარებს,
ესტუმრება რაჭას, ლეჩხუმს, აჭარას.
ყველა კუთხეს შემოიფრენს მშვიდობით,
სამეგრელოს, ქართლ-კახეთს თუ გურიას,
არ დატოვებს არც იმერეთს, არც მესხეთს,
სიკეთის ქმნა მისთვის საამურია.
ჩადგა ქარი, გადარეკა ღრუბლები.
დიდთოვლობა ნაზი ფიფქით დაგვათოვს,
დაეშვება ციდან წვიმა ჟუჟუნა,
დეკემბერშიც თიბათვის მზე გაგვათბობს.
პიკასოს მტრედს კვლავ დახატავს ქართველი,
ჩვენს მამულში ისევ კარგი დარია.
მშვიდობა თქვენ, „მომავლის ქართველებო“ –
ნანა, თამარ, დემეტრე და მარიამ!

გაზაფხული - ღმერთის სასწაული!

გაზაფხულია, ლურჯი აპრილი...
ტანთსამოსს იხდენს ტყემალი, ნუში
და მკაცრ ზამთართან გამოთხოვების
იმედის დილას გვითენებს გულში.
რაკ-რაკ-რაკრაკით მღერის მდინარე,
მწვანედ ხასხასებს ფერდობი, მდელო,
ააქათქათეს თეთრ ენძელებმა
ამოწვერილი მიწიდან ღერო.
აჟღერდა სიმი ვიოლინოზე,

ჩემი ჰობი პოეზიაა

აკომპანიმენტს უმზადებს ბულბულს,
შაშვი, ტოროლაც ამღერდებიან,
ნიბლია ჩიტიც დაიწყებს ღუღუნს.
ფრაკი მოირგო მერცხალმა ლაღად,
ჯოხით ანიშნა ორკესტრს დაწყება,
დაემორჩილა დირიჟორს ყველა,
ზღაპრული ჰანგი ლაჟვარდსაც სწვდება.
და მოეფინა იმერ-ამიერს
ცისა და მიწის საგალობელი,
უფალო, გვედრი სასწაულისთვის,
მიიღე ჩვენი სამადლობელი.

კლარა გელაშვილი - კვინიკაძისა

დაიბადა 1964 წლის 27 სექტემბერს, ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში. ათი წლისა იყო, ნისლისფერი მუზა რომ ეწვია...პროფესიით ფილოლოგი, მოწოდებით პოეტი, სულით მეამბოხე. ცხოვრობს ქვიშხეთში. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი

ექსპრომტი

მთებს სიმაღლე გავუსინჯე,
გემო ცივ-ცივ წყაროს,
ნიკორთსა და აზარმაში
რას არ ვეთაყვანო.
სხვა სად ხდება სასწაული -
შხამს გიქცევდეს ყვავი.
საქართველო თითქოს კიდევ
ერთხელ გავიცანი.
გალავანში ძეგლად დამხვდა
ჩემი გვარის ფესვი,
ქვემო აძვისს, სუფრის თავზე
სადღეგრძელო შევსვით
იმ კაცისა, ვისაც ერთი
დღე დააკლდა ნათელს
და მის ქვაზე ღირსეული
შვილის კვალიც ვნახე.
სად წავიდე, რა გზა ვნახო,
გულში ჩემი ტირის,

ამაყი ხარ, როცა იცი
ყადრი შენი მიწის.

სანთელი

სკას გავეყარე
ახლა ვარ ხვითო,
მოვპარე სითბო
ფუტკარს ფრთებიდან.
ცეცხლში დავიწვი,
ვიცვალე სახე
რომ დავდგომოდი
უფალს შეგირდად.
ღარიბი მქნის და
ღარიბი მყიდის
მრცხვენია, გამვლელს
ხვეწნით სდევს როცა,
გახსოვდეთ, ჩემს ალს
უფალთან მიაქვს
თქვენი უტყვი და
გულწრფელი ლოცვა.
ციხის კედელზე
ტაძრად თუ ნიშში
ცახცახით მივსდევ
მთრთოლვარე თითებს,
განსაცდელშიც კი
დიდია მადლი,
ხშირად აქედან
შემოდის სიბრძნე.
ბოლო ბაქანზე
ჩამოვა ყველა.
აქ იწერება
სულის ზედაშე.
რა უნდა იყოს იმაზე წმინდა

ჩოქვად რომ ვდგავართ
ხატთან, მე და შენ!....

შენ მხოლოდ ერთხელ

შენ ჩემზე დიდხანს
იცოცხლებ ხეო!
გაუძლებ დარდს და
გაუძლებ ყინვას!...
მე ავთა ქართა
ჩურჩულიც მაკრთობს,
შენ კი, სხეულზე
დარტყმა თუ გტკივა...
ლოდინი არ გღლის!
შენ - მოთმინებით
განსაცდელს ელი
და მე კი - ვეძებ!
შენ მხოლოდ ერთხელ
იწვიხარ ცეცხლში,
მე - გაჩენიდან
სულ ასე ვენთე....

ყივჩაღის ბანაკში

ქარს გავყე, ადგილს ვეჩეხე,
ყივჩაღს დაეცა კარავი
წყლის ნაცვლად ესვა ზედაშე
არწივ უგავდა თვალაი.
მარტო ვიყავ და მიხელა,
ცხენზე მომიგდო ქალაი,
დენთის სუნ ქონდა აბჯარსა,
ხმლის - კვლავ ხელთ ეპყრა ვადაი!...
-ვაჟკაც ხარ, მაგრამ მეშინვის,
არ დამიმწუხრდეს მამაი,

ჯვარზე თუ დაიფიცებდი,
მერე, გაგვყრიდა რაღაი?!

***

დღეს ჩემს სარკმელზე წვიმის ნაცვლად
ცრემლმა იარა, ლექსი გამიჩნდა -
ტკივილმა რომ იმშობიარა...
სულში ვულკანმა ამოხეთქა გუბემ კი არა,
დაბადებამდე მაწამებდა, მერე კი - არა!...

თამაში

დედამიწის ღერძი აჩქარდა!.... ვგრძნობ, როგორ ვებრძვი დროს ხმელეთზე მოხვედრილი თევზივით... ზოგჯერ მეჩვენება, დღე-ღამეს შორის ერთი უსუსური საათია შუალედი... რა უნდა მოვასწრო!!! ზოგჯერ ისიც მინდა, მერცხალივით რამეს შევასკდე და სული ცრემლებად ჩამოვადინო კედელს, რომელსაც დღემდე ვერაფერი შევასმინე!... პროტესტი გამოვუცხადო დროს, სივრცეს, თამაშს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია... ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას ტუალეტის სარკედ აღიქვამენ და უმზერენ მხოლოდ საკუთარ ტუჩ-კბილს, თვალებს...

აღარ მინდა! მორჩა, მომხსენით მხრიდან დედის მანტია, შვილის მანტია, ცოლის მანტია და საერთოდ, ჩამოუშვით ფარდა და გამაძევეთ იმ თეატრიდან, რომელმაც ასე დამღალა... მომეცით ერთი მზის ქუდი და გამიშვით უდაბნოში. სილაზე დავწერ, თუ როგორ მიყვარდით და უჩემობით განანებთ, რომ არ გამიფრთხილდით! ღამეს მოენატრება ჩემი კალამი. დღეს - ცრემლი! მერე? მერე იქაც, თუნდაც ცრემლის ნაზავით ავაგებ პატარა ქოხს, რათა შიგ თქვენი მონატრება ჩავაბუდო!!!

ო, არა! არა! არც ისე იოლი ყოფილა ვალაყრილი მხრების ტარება! - ვბრუნდები!...



გივი გელაშვილი

დაიბადა 1939 წლის 16 სექტემბერს ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. პროფესიით ისტორიკოსი. ლექსების წერა 1970-იანი წლებიდან დაიწყო. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული. მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.

აქ ვარდი მაინც არ მოდის

თოვლმა და სუსხმა იმძლავრა,
თუმც გაზაფხულის თვეაო,
აქ ვარდი მაინც არ მოდის
ეკლები ამოდიანო...

ცხოვრების ეკლები

როგორც ჯავშანი,
ამ ცხოვრებას ახლავს ეკლები.
ჩვენ ზედ ვეგებით უმწეონი,
როგორც პეპლები.

***

იცი, შენს გვერდით
თავს რა კარგად ვგრძნობ,
სრულყოფილია თითქოს სამყარო,
ისიც არ მახსოვს და მავიწყდება
სიკვდილმა ოდეს უნდა გაგვყაროს.
მკითხე, უშენოდ თუ რას განვიცდი,
მკითხე, სულ.... ერთხელ!

- როგორა ხარო.
უშენოდ ეს ცა, ეს დედამიწა,
-რა უაზროა მთელი სამყარო!

***

შავბნელ სანყაროს ტყვიისფერ ნისლში
ჟამი მიმარწევს, ვით ზვირთები ტივს,
ამ ჯანყს და ნისლში და ამ ბურუსში,
ჩემი ლანდი ჩანს და ნეგატივი.

***

ღორი რომ აჩიჩქნის ლამაზ მინდორს,
ისე აჩიჩქნეს ჩემი მამული,
აჩიჩქნეს რწმენა, აჩიჩქნეს სული,
ფუძე, სამშობლოს დიდი წარსული.

ჩიტების ხორო

ო, რა ხმებია საოცარი,
რა ჰანგებია,
დილის განთიადს
რა ნოტებით,
ხმებით ხვდებიან.
ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი
სულის ბანგია,
მზეს და სიცოცხლეს
და სიყვარულს
როგორ ეტრფიან.

ალექსანდრე გიგიტაშვილი

დაიბადა 1952 წელს ქვიშხეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თბილისის სამედიცინი ინსტიტუტი. ლექსების წერა 70-იან წლებში

უხერხული სტუმრობა საკუთარ ქალაქში თუ ქვეყანაში

გიდების არყოლა, კუჭის წიოკი და მემაწვნეთა ბოჰემური
მასკარადი, ვნების დაკარგვა ენის სტიქიაში,
ყოფნა უვნებოდ, ტაძრების ჰიმნის ვერაგობა,
ჩემო უძღებო. ეკლესიათა ყელყელაობა, საფერავით გამოშუშება,
ნათესავ ქალთა ძველი ამბოხი პოეტის კუბოსთან..
მუსიკა, მუსიკა, ჰანგი მოგუდული..ლოტრეამონის ბაყაყის
მწვადები ფრანგულ რესტორანში და ბოლოს მაინც
სამშობლოს ჰიმნი, დაუვიწყარი!

აგვისტო

ტუჩებს ვუკოცნი აგვისტოს ქარებს
და კეკლუცობენ მზეზე მტევნები,
შენ მოხვალ ჩემთან, გაგიღებ კარებს
თუ ნანახ სიზმრებს აედევნები.
შეაღებ ტკივილს და გაგაყუჩებს,
გაიპარები... მზის დარაბებიც
დახურულია... ჩემს გამშრალ ტუჩებს
დაუკოცნია შენი კაბები.
დამწვავს ნიავი გრილ საღამოსი,
ვით გემო შენი ბაგის წვენისა,
მახსოვს, გვცვიოდა ყველა სამოსი,
როგორც ფოთლები ფოთოლცვენისას.

თუ მოხვალ, მოდი ბრმა ალუბლებით,
თუკი არ ძალგიძს მზის მობარება,
რომ კვლავ დავრწმუნდე, შენი მუხლებით
კვლავ შემიძლია აღფრთოვანება.
რომ კვლავ დავრწმუნდე, ვებრძოდი ხარებს
რადგან შენ გაჩნდა მათი ნატორი...
ოლე!... ტკივილით მე გიღებ კარებს,
შენი ერთგული ტორეადორი.

თავდავიწყება

ეს ნერვებია ჩემი შიშველი
თამბაქოს ბოლი მეწამულ თრობით,
მეუბნებოდა, ვეღარ მიშველი
რომ ის სავსეა დღეს მარტოობით.
კბილით მოვზიდე მე მისი ყური,
პატარა, როგორც ზღვაში ნიჟარა,
ამღერდა ხელზე ქვის სამაჯური,
მძივებიც ნოხზე გადაიყარა
და თუკი შევძლებ მე მის მორჩენას,
სამაგიეროს ნუ გადამიხდი,
შუაღამისას მზის გამოჩენას
ჰგავს, როდესაც შენ ტანსაცმელს იხდი.
და ვარსკვლავები (სავსე ველივით
თმა ეწყო, როგორც ვაზის ლერწები),
მიღიმის, იცის დათვის ბელივით
მართალი ბიჭი ვეალერსები.
***
ავადა ვარ, ქალი მოდის ლაღი, თვალებბინდება,
ქვიშხეთში რომ წყარო მოდის მე ის წყარო მინდება.
შეღამდება, როცა თვალებს მთვარის შუქი ეთოფა,
მე სიცოცხლის წუთებს მაკლებს ასე უკახეთობა.
და იცოდე, ჩემო გიჟო, საოცარო დროებავ,
ჩემი კარგი საქართველო როგორ მემყუდროება.

მზისა გოგალაძე

დაიბადა 1982 წელს ქალაქ ხაშურში. ამჟამად ცხოვრობს ქვიშხეთში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მაგისტრატურა.

ლექსებს წერს სკოლის ასაკიდან

სიცოცხლის სიყვარული

გულსევდიანი პოეტის ხილვით
წამი წამებად დააკვდა მზეწამს,
ბებერ სისხლიან ხელების თრთოლვით
ვიღაცა თავის ცხოვრებას ძერწავს.
მზეკაბანისას დავეძებ რითმებს,
რაღაცას ვეძებ, ვიღაც მიქია.
მართალი იყოს, - ცრუს უწოდებდნენ,
ამ ცხოვრებისა ვერ გამიგია!
თავგამეტებით დაჰკრეს ზარებმა
ჩამოწვა ზეცა მსუბუქ ფარჩებად,
რა საჭიროა, გქონდეს სიცოცხლე
უსიყვარულოდ თუ გეხარჯება!

მონატრება

დედას

ჩვენს შორის მანძილს ნაბიჯებად აკეცავს ქარი
მე ოცნებაში შევინახე შენი სახელი...
ო, სანატრელო, ჩემს ოცნებას არ უჩანს ბოლო,
ქარი მომტაცებს ამ გულისთქმას ლოცვად გამხელილს.
შეეჯახება გზად ერთმანეთს ქარებისაგან მოპარული
ჩურჩული ჩვენი.

***

გალომგულებულს
წვიმის წვეთი მაშინებს დარში.
კვიცივით შემკრთალს
ჩანჩქერივით მინდა დინება,
მაგრამ რაღა დროს.....
ბავშვი არ ვარ, ხანია დიდი
და ღელვა გულის
იქნებ აღარც მეპატიება.

***

უკვდავება მელანდება და ღმერთების დავთარები,
ღამე ბნელი, ქუჩა სველი, ქარში სულის აფთარები,
მწველი სულის ნაღვერდალი და ვარდების შეკონება
სულში სევდის სიმარტოვე ჩაყინული გეგონება.
ბნელში ჩემი სავანეა და ფიქრების სასთუმალი,
ბედი სულის მოსამართლე, სასმისები სასტუმარი.
სიზმრის ფერი დამიხატავს და ბავშვური იდილია,
იყო ფიქრში ჩაძირული, მარტოსული-იგივეა.
მოდის თეთრი მოჩვენება, როგორც ჩუმი ლიტანია,
სიცოცხლეში თვით სიკვდილიც, სხვაზე მეტად მიხარია,
მირაჟებით მოფენილი, ქალის ჩუმი შეგონება,

ჩემი ჰობი პოეზიაა

მიჩქმალული სიმარტოვის მკაცრი ელვა გეგონება.
დამალულა ფიქრი მღრღნელი, დარდი თავად მივატოვე
და მიღიმის შორეთიდან ფრთანატეხი სიმარტოვე.

***

სიცარიელე,
წუთისოფლის უფერო რამ,
მოვედით გუშინ, დღეს ვიქნებით,
ხვალ ისევ წავალთ.

***

არ დაისველო თვალები ცრემლით,
არ თქვა მუდარა ნაცრემლ იებად,
შენ სინანულის გადგას გვირგვინი
და ყველაფერი გეპატიება!

***

გაზაფხულია
ჩემს სულში და ჩემს სტიქიაში.
მთებში, მთებს მიღმაც გაზაფხულია...
და მოგონება სევდიანი
გულში,
გულდაგულ,
სამარადჟამოდ დამარხულია!



ანა გოგნიაშვილი

დაიბადა 1992 წლის 9 ივლისს სოფელ ცხრამუხაში. დაამთავრა დავით კაკიაშვილის სახელობის ხაშურის მეორე საჯარო სკოლა და გორის სასწავლო

ვერხვი

ვერეხვი დარდია ქუჩის,
ქუჩას უვერხვობა უჭირს,
ქარვის ჩაუცვამს კაბა,
ქუჩას ფოთოლ-ფოთოლ ხატავს.
ფიქრით აივაკებს აღმართს,
გზა-გზა გადაიფენს ფარდაგს,
იხდის ჭრელა-ჭრულა კაბას,
სულაც არ რცხვენია, ალბათ.

***

ვკითხულობ ვაჟას,
რაღაცა მწყინს....
რა დიდი ერის შვილია,
მე კი ვარ ვინ?
წვიმს,
წვიმად მოსვლა მეც მინდა,
მაგრამ ვერ მოვალ,
მწყინს

ჩემი ჰობი პოეზიაა

ვაჟა-ვაჟაა,
მთა არის,
მე კი კენჭი ვარ მთის....
საქართველო რომ ერთი გვაქვს,
სიცოცხლე ღირს!

დედა

ეს ქვები, ასე სათუთად რომ ინახავ,
წლებია დედა...
ამ ქვების იქით დაგრჩენია
ბავშვობა, ვხედავ....
სულის სიღრმეში გეთანხმები,
თანაგიგრძნობ და ვწუხვარ, დედა,
დრო დამიდგება ბებოს ეზოდან
მეც წამოვიღებ ხავსიან ქვას,
ჩემი ბავშვობის გადასარჩენად.

აღსარება

შენ, ჩემო მრავალჭირნახულო
ჩემო დედულო და მამულო,
ჩემო სამშობლო ერთადერთო,
გულში სიყვარულად ნაგუბო
იქნებ, ანბანთქება ვერ დავტოვო,
გული სამსხვერპლოზე ვერ დავდო,
ღარიბ-ღატაკი ვერ დავაპურო,
თხილი ცხრა ნაწილად ვერ გავყო...
მე შენი სიყვარული შემიძლია,
შენთვის ლოცვა მინდა დღეა თუ ღამეა,
ღმერთმა ძალა მომცეს, რწმენა განმიმტკიცოს
იქნებ გიერთგულო დარდიანს!



ლილი გრიგალაშვილი

დაიბადა 1961 წელს ქვიშხეთში. პროფესიით ეკონომისტი. ამჟამად დიასახლისი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

უშენოდ

სადღაც მიფრინავს ჩემი ოცნება -
ლურჯი ფრინველი. ფიქრმა დამფარა....
ო, იქნებ სადღაც ჩაიფერფლა -
გრძნობების ცეცხლი, ან - იქნებ გაქრა....
და კვლავ დავრჩები მე ისევ მარტო.
როგორც ოდესღაც.
შეჩვეულ თმენით გავათენებ
ღამეებს თეთრად, მექნები დარდად....
იმ ლამაზ დღეებს, ნაზ მოგონებებს
ავანთებ სანთლად
 და მივენდობი ღამის სიჩუმეს როგორც მეგობარს....
ისევ დავრჩები უშენოდ, მარტო, როგორც ოდესღაც....

***

დრომ წლები ჩამოწნა -
მივყვები
ზეცისკენ მიმავალ გზას,
მივდივარ, მივითვლი ნაბიჯებს
ვშორდები მიწიერს თანდათან.
ცის იქით დავეძებ გზასავალს -
 იქიდან ჩამესმის ხმა:
სპექტაკლი დამთავრდა

ჩემი ჰობი პოეზიაა

ამოდით! –
ვიდრე ჩავრაზავ კარს.

***

გაზაფხული ჭრელა-ჭრულა
არხევს სული ნაწილებს,
მზის ბილიკებს აფერადებს,
აპნევს მძივად ყვავილებს.
გამაბრიყვა, გამიყოლა,
გვირგვინები ჩამაწნა,
ოცნებები გამომპარა,
თითქოს სილა გამაწნა:
არ ვიკმარე თვალის აკვრა
ფიქრს გავყევი ლანდად,
იქ ღიმილად დავიღვარე,
აქ უსაზღვრო სევდად...
ფერს ვიფერებ წითელ-ყვითელს
თან სიმორცხვეს ვმალავ...
მინდორ-მინდორ ყვავილებით
მწვანე ატლასს ვქარგავ.
იქ ტირიფებს ვეჩურჩულე,
ვიხალისე ანცად, -
გავუმხილე რა ძნელია
სიჩუმე და მალვა...
აწყვეტილმა წყლის ტალღებმა
ჭორისჭორად გამთქვა,
დაკვირტული ყვავილები
სულ სიცილად დასკდა...
არ ვიქნები დამნაშავე
მეყოლები ფარად...
გაზაფხულის ყველა ფერი
გამატანეთ მაყრად!

ჯიმი გურჯიშვილი

′თბილ

დაიბადა 1977 წელს, ქ. ხაშურში. დაამთავრა რკინიგზის 25-ე საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის ბიზნესისა და

პოეტი

ლექსში ჩაფლული საიდუმლოა, ალბათ, პოეტი.
ლექსშივე სანთლად ანთებული რითმა, სონეტი.
ძრწოლვაა იგი გამჭვირვალე მტკიცე გონების,
ჭეშმარიტია მისი ნება, განცდა ყოველი.
მხატვარი ლაღი სისათუთით თავად ოცნების,
ფონია, თითქოს, აღუწერლად მძიმე მოვლენის.
პოეტის სული, დანამული, მუდამ მოიელის,
მუდამ ღიაა, მის წინაშე არსი ყოველი;
ასეთი გახლავთ და იქნება ავტოპორტრეტი.
ლექსში ნაძერწი ქანდაკებაა, ალბათ, პოეტი!

ჩემს ოჯახს

დედის ნაამბობ ზღაპრებს,
ვუამბობ ჩემს ასულს,
მამისეული არსის წყალობით
ძეს გავუმდიდრებ სულს.
შენ, მომავალო ჩემო მეუღლევ,
ტკბობით გაგილღობ გულს.
ოჯახის ბედნიერება

როგორ ჰგავს გაზაფხულს!....

სამშობლო მხარევ

ვაჟას ფიქრიან სახეს
ილიას მაღალ აზრებს,
აკაკის გამჭოლ თვალებს,
მაინც დახურულ კარებს,
მზეს და იდუმალ მთვარეს,
გადახუნებულ ფრაზებს,
მწიფე, ვარდსავსე ქალებს,
მომავლის განმგებ ბალღებს,
მეგრელს, აჭარელს, კახელს,
რაჭველს,სვანსა თუ ქართლელს,
ნიკოს, თამარს და მათეს,
ზეცას ფერებით ნათელს,
სვეტიცხოველის ამგებს,
ღვთიურ, ზეციურ ბანებს,
ერთ მუშტად შეკრულ ქართველთ,
ქვეყნად მშვიდობის ზარებს,
დიდება ყველა ქართველს,
დიდება ტკბობით სავსევ,
ჩემო სამშობლო მხარევ!

მანანა დანგაძე

დაიბადა ხაშურში 1950 წლის 2 მაისს. მუსიკოსი. წერს 12 წლის ასაკიდან. ვაჟა აზარაშვილთან შეუღლებამ გამოიწვია მისი შემოქმედებთი პაუზა., რადგან თვლიდა, ერთერთს უნდა ეწერა. შვილიშვილის გაჩენამ ისევ აამეტყველა...გამოსცა ერთი პოეტური კრებული „სევდის ანარეკლი“.
მწერალთა კავშირის წევრი. ასევე ფაზისის საერო აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი. მიღებული აქვს ჯილდო კონკურსში „წლის საუკეთესო ლექსი“. ჰყავს მეუღლე, ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

ჩემი ბავშვობის ქალაქს

არ მომაკლო შენი სითბო შენი წყაროს ბადაგი,
შენ ხარ ჩემი დედა, მამა, ნატვრა-სულის ბადაგი.
შენკენ ილტვის გული წრფელი, მსურს სიმღერით გეფერო...
ჩემო ბავშვობის აკვანო, გრძნობავ, უბერებელო!
მოზღუდულო ლურჯი მთებით გაბრძნობილი მძლეველობ,
მტრისა მტრულად დამრისხავო, სტუმრის გამლაღებელო.
ვხარობ შენი ალით, წრომით, ტაშისკარით, სურამით...
ქვის კედელში კვლავაც კვნესის სულუკვდავი ზურაბი...
ღორინამკლის ფერდობს გავცქერ და შენს „სამარადისოს“
მიწისქვეშა საქართველო წმინდა ძვლებით აივსო.
სამაროვან - სამარიდან მომძახიან სულები,
ჩემი დიდი წინაპრების მზიდან გარდმოსულების.
მეც მანდ მინდა დავსამარდე, შენი მიწა მეფაროს,
რომ სიმშვიდით განისვენო გულო დაუდეგარო.
რომ სულის გზა მარადისი გამიმზიანმთვარისო,
ჩემო ბადაგაურო და წმინდა „სამარადისო“.
მე ისევ გეძახი

ჩემი ჰობი პოეზიაა

ძალიან მიყვარდი !... და სული ეული
ვერ დავთმე სხვათათვის, ვერ გამოვიმეტე;
ლაღი ოცნებები სიზმრებად ქცეული
მომავლის ნათელში ეძებენ იმედებს.
რამდენჯერ დაზამთრდა და ჩემი ფანტელი
შენს ფანტელს ეძებდა ნდობით და ალერსით...
ჩემი სურვილებით, ნაზი ჟრუანტელით,
ფაქიზი გრძნობებით უუმხურვალესით...
ძალიან მიყვარდი და ჩემი ლექსები
კვება და აცოცხლა ამ გრძნობის ნაჟურმა;
ოცნებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები
ვითარ სიყმაწვილის ვნებამ გიჟმაჟურმა.
რამდენი გეძახე მოხურულ კარებთან,
ვერ შეისმინარე ჩემი ხმა მწირული...
მიწა გრგვინავდა და ზეცა მქუხარებდა,
ქარს და წყალს მიჰქონდა გრძნობა განწირული.
რაოდენ გეძებდა ლამაზი სიზმარი
და ბეწვზე ვკიდებდი იმედის დასამალს...
მთანგავდა სიშმაგის დრო ნათილისმარი,
ორივე ვკიბავდით ზეცისკენ აღსავალს.
მე ისევ გეძახი! წყვილეულ მერცხლებად,
მო, გადავუფრინოთ შრიალა ლელიანს....
მსურს, შეგასხეულო გრძნობის აცეცხლება,
ვიდრე ვარსკვლავები ზეცაში გველიან.



შოთა დარბუაშვილი

დაიბადა 1955 წლის 8 მაისს, ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის განხრით. კონფლიქტამდე მუშაობდა ცნობილ ანსამბლ „ბონვარონში“. იყო ამ ჯგუფის ერთერთი დამაარსებელი(1971) და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი1988-90წლებში. ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. სხვადასხვა წლებში

***

დავიარები მოსკოვს, არა „გუმსა“ და „ცუმს“
არამედ მივალ ძეგლთან, სადაც რუსთველი დუმს.
დუმილის ქარიშხალმა ქვა ააცრემლა სულ,
პალესტინიდან ესმა ხმა იდუმალი ყურს...
ნეტავ, თუ ესმის ჩემი შრომაში დაღლილ რუსს,
შენს ძეგლთან იქნებ დარდის მზის ჩასვენება სურს...
საოცარია ბედი, უკვდავთათვისაც თუნდ,
ქვაში მოთლილი შოთა აურზაურში დუმს.

მშიერი დემოკრატია

თბილისში, ახლა, რამდენი დადის
გაჭირვებული, მშიერი კაცი,
გუშინ მღეროდა მეტროში ბავშვი,
გამოუგდია დედამისს კარში...
ქუჩაში ყრია ქალი და კაცი,
თევზი, მწვანილი, „პომადა“, „კარტი“...
აკადემიის შენობისა წინ

დიდებულია ... მხატვართა დასი...
უკრავს ლირიულ ხმაზე საკრავი
აქ მელოდია მაგონებს ტანჯვას
და თვითონ ჯიბეგამოფხეკილი, -
მუსიკოსს ჩუქნი ორიოდ აბაზს!...
მივყვები ქუჩებს და მახსენდება
ერთ დროს თბილისი - ნატვრის ქალაქი,
შენობის თავზე ფრიალებს დროშა -
ჩემი სამშობლოს ცნობის ბარათი!
მდიდარი კაცი შედის კაფეში,
მოითხოვს ყავას, სიგარეტს, ვისკის,
აუწევია ქალს თეთრი ლაჯი,
გაუღიმებს და დაიწყებს კისკისს...
რა გულგრილია „დემოკრატია“
წარსული, აწმყო და განშორება!
მამულზე მარად მტირალს, დარდიანს
სხვა ქვეყანაში მინდა ცხოვრება!...
ვარ პატრიოტი და ვარ მშიერი,
აქ ყვავილები უხმოდ იწვიან,
ჩემი სამშობლოს ძველი იერი
გაქრა, წავიდა, ვეღარ მიცვნია...

მოლოდინი

ჟამი მწუხარების
უიმედო ღამეში თვლემდა
და იგი, ნახევრად მშიერი,
გარიყული, ლოთი,
თავის სამშობლოზე
ნატვრით გულშეღონებული,

ლამაზი, კეთილი, არისტოკრატი,
გედივით ჩაიკეცა მსოფლიო

ჩემი ჰობი პოეზიაა

ორომტრიალით გაბინძურებულ დროებაში
და თავის ნახატივით,
არაბუნებრივი სილუეტით
გარდაიცვალა.
რადგან ვერ „გაძღა“
მაძღრების ხატვით,
მეორე დღეს, მოვიდა
მსოფლიო დიდება
და გაჰყვა მის სულს
ფერი უტირებელი,
არაგეომეტრიული პლასტიკით...

- რა ახლოს იყო ნაბიჯი ცისკენ...

***

ღრუბელი დაფლეთილი სევდამ ჩაიხვია,
სტრიქონი შეწყდა მოწყალე ხმოვანზე...
ნუ გადამივიწყებ, ახლა ხომ მაისია,
ნუ გადამივიწყებ, - ნახვამდის ხსოვნამდე...
ხის კენწეროები მზე და წარსულია,
ფოთლები თაიგულს შენ თავთან კონავენ,
თუ გადამივიწყე, ამათმა რა იციან,
თუ გადამივიწყე, - ნახვამდის ხსოვნამდე...
ახლა ყველაფერი ძალზე მარტივია,
თუნდაც უცოდველი სცოდავდე,
ღრუბელი დაფლეთილი სევდამ ჩაიხვია,
მთვარის სიშორეა შენამდე...

დარეჯან თაგვაძე

ბიო

დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს, ქარელის რაიონის სოფელ დირბში. დაამთავრა ადიგენის რაიონის სოფელ მოხისის საშუალო სკოლა, შემდეგ, 1974 წელს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1974-79წლებში მუშაობდა

მეუღლეს

ნაჯაფარ ხელებს ვიხუტებ გულში,
გაგცივებია, გაგითბო, მინდა
ბავშვივით იღებ ნაბოძარ გრძნობას,
გაჩუმებული მიღიმი მშვიდად.

***

როცა იმედი უარყოფის უარყოფაა,
გავთელავ ამინდს ქარიშხლიანს.
სევდას, მინორებს.
განვსხეულდები,
კვლავ სიცოცხლის გზებით გავივლი,
სევდას და განცდებს
ტკივილიანს გავიმეორებ.



მარიკა კვინიკაძე

ღისი

დაიბადა 1991 წლის 25 მარტს. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

სიყმაწვილის განცდები

სიყმაწვილე მოფრინავდა
გაზაფხულის დარადა,
მოვერიდე, მაგრამ მაინც
მერხთან დამიდარაჯდა...
შემიცურა თმებში ხელი,
გამისწორა ბაფთები,
აივანზე გამოფინა
სიყმაწვილის განცდები.
ღამე ისე გავათენე,
თვალს არ გაკრთა რულია,
შავს რომ თეთრად მოგაჩვენებს
ვითომ, სიყვარულია?!

***

ყოველ ორ წუთში კარების ხმა

ჩემი ჰობი პოეზიაა

მკაფიოდ ისმის..
თითქოს მეხია, მოლოდინი
აკრთობს სულს, სხეულს,
გარეთ ქარია, სიცივეა,
გული კი იწვის...
ისევ ის კარი!!
სასთუმალთან დავიდებ რვეულს,
სულთა დედანი დარეკავენ
მონასრტის ზარებს,
ხორციელ დედას მოადგება
თვალებზე ცრემლი,
მე გარდასახვის მოლოდინში
დავხუჭავ თვალებს,
ვეღარ ვწერ ლექსებს! –
მგონი მუზას ამაოდ ველი,
აეწყო აზრი და
სიცივეც გასახარია,
რადგან ეს გული, ჩემო,
შიშის ნასახლარია.

ფატი კურტანიძე

დაიბადა 1957წელს, 1982 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი . მუშაობს ხაშურის პირველ საჯარო სკოლის ქართული

პატარა უფლისწული

თევდორეს

პატარა უფლისწულივით ფიქრები -
სევდიანი, დარდიანი და ...
ნატვრაში არეული -
გყავდეს ბატკანი,
სატკივარს მოგიშუშებს
და ბაობაბები
ვეღარას დაგაკლებენ,
ჩემო პატარა, დიდო უფლისწულო!

გორგალი

ყველაფერი როცა აბურდულია
და შენ აღარაფერი გაწუხებს,
გარდა იმისა, რომ მოძებნო ძაფი,
რომელიც შექმნის გორგალს,
მერე კი მიჰყვე, ნება-ნება
აუყვე ბილიკს, კრიფო, ახვიო,
წინ წახვიდე,
რათა როგორმე იქ მიცოცდე,

ჩემი ჰობი პოეზიაა

მეორე წვერთან,
მაშინ იფიქრებ
რომ დამთავრდა
შენი ცხოვრება,
მორჩა ფუთფუთი
უაზროთა დღეთა ფრთხიალი,
აღარაფერი აღარ შემრჩა,
გარდა იმისა, რომ ის გორგალი
გადავშალე წელთა ტრიალით,
აბდაუბდით, უაზრო ჩხრეკით,
ოცნებების ბუმბულთა პენტვით
და ახლა..
როცა მიიწურა ყველა იმედი,
ნეტავ, თუ რამე გადარჩება -
გადასარჩენი ან გადამრჩენი?
იქნებ მაშინღა გაიწკრიალებს
ცის ანგელოსთა დიდი ნუგეში -
მე - შენთანა ვარ,
შენ - ჩემს უბეში.

მზია მაღალდაძე

ილ

დაიბადა 1949 წლის 18 მაისს, ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული და

***

ხელები მზისკენ
გაწვდილი პეშვით
ვარდისფრად ფეთქვა
ჩიტუნას მკერდში
ნიავის სუნთქვა
აპრილის თქეში
და გულის ხეთქვა...
და შენთან ერთად
ოცნების ფრთებით...
ვარდისფერ ცაზე
იები ლურჯად
სულ ბღუჯა-ბღუჯა.
ბედნიერება
სულ ერთი მუჭა...
მე თვალებს ვხუჭავ...

***

ჩემი ჰობი პოეზიაა

მენატრები ! ნისლიან
 და სევდიან ქარებში
დაფრენს სული უცნაურ
მარტოობას ჩვეული,
მაგრამ მოულოდნელად
 შენგან გამორჩეული
ფრთებს ისწორებს ანაზდად
 და ზეცისკენ მიიწევს...
გულო, გახსენ კარები!
ველად ნუ გაიჭრები...
განზე გადექთ ეჭვებო...
მზია მოქსოვს მზეკაბას,
სიო მეალერსება,
სივრცეები გიხმობენ,
 მაჟორულო ლექსებო!



გიორგი მეტრეველი

დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგოგი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი.
გამოცემული აქვს 14 კრებული.

მოვედი თქვენთან

აგერ მოვედი,
მოვედი თქვენთან
და მოუსმინეთ ჩემს გულის ფეთქვას!
გადმოვიარე ჭალა და ჭარო
და გულით მინდა რომ გაგახაროთ!

დავტკბი ლურჯი და თეთრი გვირილით,
გზაზე მხვდებოდა ყველა ღიმილით!
თუმც თქვენთან მოსვლას ძლიერ ვჩქარობდი,
შაშვი მომდევდა უკან გალობით!

ბუნება იყო სიამით სავსე
ძვლებამდე ვგრძნობდი მის სილამაზეს!
გული მაქვს ტრფობით დაუფარავი,
ყველა მიყვარხართ, არ მძულს არავინ!

გულით ვლაღობდი, რომ მოვდიოდი
თქვენ გენაცვალოთ თქვენი გიორგი!
აგერ მოვედი,
მოვედი თქვენთან

და მოუსმინეთ ჩემს გულის ფეთქვას!

ქარი ტყის პირას

ტყის პირს გადამიდგა ჭორიკანა ქარი,
მითხრა: ამაყად დგას მუხა ნამეხარი!
ღვიძლი ძმებისავით ცხოვრობენო ტკბილად
მურყანი და თელა, წიფელა და რცხილა!

ღრუბლები

მზემ თითქოს თვალები დახუჭა,
ცაზე მოგროვდნენ ღრუბლები,
ჯერხნობით ჩუმად არიან,
ალბათ არიან უბრები!...
ნეტავი მათთან მამყოფა -
ხმატკბილად ვესაუბრები!

აღფრთოვანება

იყო დრო, როცა
$\propto$ -ს და β - ს
მათ ვასწავლიდი ორივეს ერთად!
ღმერთო ძლიერო! ახლა რას ვხედავ?!
ბიჭი
 ცხრა შვილის გამხდარა მამა!
გოგო
 ცხრა შვილის გამხდარა დედა!

ჩემო ლაშავ და ჩემო ირინე,
თქვენ გენაცვალე, თქვენი ჭირიმე!
ღმერთო!
დალოცე ლაშას კაცობა!

ჩემი ჰობი პოეზიაა

ასჯერ -
ირინეს დიდი ქალობა,
უხვად გაეცი მათთვის წყალობა!

ჩემო ლაშავ და ჩემო ირინე,
თქვენ გენაცვალე, თქვენი ჭირიმე!

ნუ ჩამითვლით დამარცხებად

არ ვყოფილვარ არასოდეს
მიღწეულით კმაყოფილი
და ყოველთვის მიზიდავდა
ართქმული და არყოფილი!
სატრფოსავით ჩავიხუტე
ბევრჯერ გულში გვირილები
და უფალი შევაწუხე
ჩემი ტკბილი ტირილებით!
ჩემი გული ახლის პოვნით
კიდევ ბევრჯერ გალაღდება...
ერთსაც გეტყვით:
უმიზეზოდ არაფერი არა ხდება!
კიდევ უნდა დამატყვევონ
ამ მთებმა და ამ ველებმა,
თქვენი გულის გასახარად
რომ მოვასწრო ამღერება!
ისიც ვიცი, რომ სამარე
ბოლოს მაინც არ ამცდება
და ყველას გთხოვთ:
სიკვდილს ჩემსას
ნუ ჩამითვლით დამარცხებად!

ნინო მეყანწიშვილი

ლისი

დაიბადა ქარელის რაიონის სოფ. ბრეძაში. წერს 13 წლის ასაკიდან. მისი შემოქმედების ძირითადი თემა სიყვარულია. ცხოვრობს ხაშურში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი

ავტოპორტრეტი

ვარ მოცახცახე ფოთოლი
შემოდგომის უკანასკნელი დღისა,
მყიფე სითეთრე, შიშისმგვრელი
სველი დღეების....
ვარ მეოცნებე ლურჯი საღამო
მთვარის შუქით ფერმიხდილი,
დაღლილი და უმიზეზოდ მიტოვებული...
ვარ უკარებო წმინდა საყდარი,
დამაშვრალი წყარო ფიქრისა,
სამყაროს მტვერი და სიტყვების
უცხო მარაო...
ვარ ერთგულება!
ვარ მოლოდინი!
ვარ მარტოობა დაუსაბამო!....

ჩემო თათული

ზამთარიაო, ფიფქმა მამცნო,
ჩემო თათული,
როგორ გავიდა, ვერ გავიგე

ჩემი ჰობი პოეზიაა

მე, ეს ზაფხული...
მარტოობაში ყელამდე ვარ
ახლა ჩაფლული
მენატრებით და მელანდება,
 სითბო მაცდური...
არ გაიკვირვო, ნოსტალგია,
ჩემო თათული
ყველამ დამტოვეთ, დარდებს ზეცას
 ვყავარ გაკრული...
შემომეხვევით კვირის ერთ დღეს
ჩემი ნატრული,
საღამოები ჯერდებიან
რაღაც ზღაპრულით...
ზამთარიაო, ფიფქმა მამცნო,
 ჩემო თათული,
მონატრებიდან - მონატრებამდე,
ვარ გათანგული....

თამაზ ნათენაძე

 დაიბადა 1951 წელს ახალციხის რაიონის
სოფელ ღრელში. ინჟინერ-მექანიკოსი.
დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური

ინსტიტუტი. მუშაობდა ჩარხმშენებელ ქარხანაში.
ლექსებს წერს 2002 წლიდან. ძველ ქართულთან მიახლოებული თექვსმეტმარცვლიანი ჩახრუხაულით წერა მოსწონს. მთავარ სათქმელს ქარაგმებში მალავს და მკითხველს უტოვებს ამოცნობის, გააზრების სიამოვნებას. ლექსებში უხვადაა გაფანტული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ მესხურმა ლექსიკამ შემოგვინახა.

ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ორი შვილიშვილი.

სული უფლის ასულია

იგავით ჭკვას მიაგებდა, მიმსვლელთ მისი სარგო მისცა,
ყველა კაცად იბადება: მეფეც, გლახაც, მგოსანიცა,
ვაზსა ჯიშით აფასებენ, აქვს რაგვარი მტევანიცა,
თუ კარგსა რგავ, თან ახარებ, დაგნათოდეს ნათელიცა.
ძნელი არის კაცი გერქვას, შეგრჩეს იგავ სახელია,
ცუდს ჩაიდენ, ერი განგსჯის, განსწავლული მსაჯულია,
სადაც იშვი, მოიზარდე, იქ არს შენი წარსულია,
სხვა ამაგს არ დაგიფასებს, თუნდაც შესვა ზღვა სრულია.
საწყისია ბავშვობა და მოხუცობა სასრულია,
ბოლო არის სარეცელი, სული უფლის ასულია,
საძვალეთი მიწა არის, ზედ ცოცხალთა სავალია,
მოძღვარნი და მოციქულნი ღმერთთან შუამავალია.
სამოთხე კი, ერის შვილნო, ჭეშმარიტთა სავანეა
და ილოცო ცოცხალ კაცმა, მეტი რაღა გავალია,
თუ არ იცი, მასა ჰკითხე, ვინც მნათ კვალში ნავალია,
განსწავლულნი მაშვრალთათვის უებარი წამალია.
სიკვდილს ვერსაით გაექცა მთის არწივი ფრთამალია,
ჩვენ ვინ აღარ შევიკედლეთ, შინ მივეცით სამალია,
შეგნებულად არ ჩამოვთვლი, მათგანა გვჭირს საპყარია,
მარტო ეს არს მოვიძიოთ, პასუხი სულ სხვაგვარია.
აქვე დავსვამ მრავალწერტილს შუბის წვერისდაგვარია,
ბუნიკს წვერო გაუცვდება, თავს წამოჰყოფს ნაფარია,
ჩემად არცერთი ჩასთვალოთ, მოძღვართაგან ნაპარია,

მათი სიბრძნე ვერ დავლიე, ჩუმად მოვსვი ნაღვარია.
მასაც წკიპზე მივასწარი შემრჩა მხოლოდ ნაქარია,
გასაღები ვერ მოვძებნე, რომ მეპოვნა საღარია,
საოცრება სულ სავსე სდგას, სასუფეველს ვადარეა,
აღვუვლინე ლოცვა უფალს - დაგვასწავლოს სათავეა.
ეკალ-ბარდიც რომ გაჰკაფო, მაინცა გყავს მოდავეა,
ზნეს გადასულთ თაობა სჯის, საიდუმლო მანდავეა,
დაუწერელ კანონს გამცნობთ, თაობათ აქვთ სადავეა,
საჭეთმპყრობელს ვერ შეუვა, ვერასოდეს მედროვეა.
რჩეულს მოჰკლავთ? მან შეავსო ვითომ შენი საფლავია?
ვინღა აღარ მოინდომა მოემართა სამყაროა,
უფალმა უკუ უბრუნა ბუმერანგი ნაკრავია,
შერჩა მხოლოდ სიძულვილი, აქ რაღაა სადავოა.

ვარჯის ენა

გიორგობის თვე გასრულდა
ფანტელმა იწყო ცვენაო,
მზეს შუბის წვერზე ამოსულს
ვეღარ მოვწყვიტე მზერაო.
ღვთის სამწყსოს სხივნი ესროლა,
ნათელი მოაფინაო.
შვცქერდი გაოგნებული,
არვის მეწადა სმენაო.
ოდვილი შეწევნას ვთხოვდი,
გვაკმარე ჭირთა თმენაო.
ჰევა-ადამის მოდგმასა
გაგვიასკეცე რწმენაო.
ააღორძინე ლაზარე
მოჰმადლე აღმა ფრენაო.
მოვკირწყლოთ მამისეული,
ვადიდოთ ვარჯი ენაო.
ცრემლი მოვწმინდოთ იესოს,
პური გვიკურთხე ზენაო.

გული შეგვითბე ქართველებს,
აგვიგიზგიზე კერაო.
შობე მესია მახვილით
ჰქმენ საკვირველი ძლევაო,
ისმოდეს საქართველოში
ლაზური ნანა-ნენაო.
ვაჟნი ვაჟობდნენ ქალწულთა,
შემონატროდნენ სხვანიო.
გვიხსენი ბოროტისაგან,
აამეტყველე ქვანიო.
შობილთ შეგვინდე ცოდვანი,
გვაფარე კალთოვანიო.
ააღორძინე ლაზარე
ღვთით კურთხეული ენაო.
მოჰმადლე აღმა ფრენაო ,
მოჰმადლე აღმა ფრენაო!,
მოჰმადლე აღმა ფრენაო!

ნაკურთხი წყალი

ეძღვნება შვილიშვილებს ნიკოლოზ და
დემეტრე ნათენაძეებს და ყველა პატარას

ყოვლად უბიწო ახალშობილო
თავს დაგნათოდეს სხივი ნათელი.
დიდხანს გიცოცხლოს მამა და დედა
ყოველწამს შეთვის ღამენათევი.
ტირილით გვამცნე ამ ქვეყნად მოსვლა,
ბებომ აუნთო უფალს სანთელი.
გაიზარდე და სამშობლოს არგე,
გამჩენმა გითხრა პირველსათქმელი.
გაითავისე ვისი მოდგმის ხარ,
თუნდაც რომ გახდე ხალხთა მმართველი.
მადლით იღვაწე მოყვასისათვის
რომ დაიმკვიდრო სასუფეველი.
მოკვდავის რჩევას ყურად ნუ იღებ,

შეიცან ღმერთი, მარადიული.
ღვთისგან რჩეულა მეფე ვახტანგი,
დედამიწისა შუბლის მპყრობელი.
ნათლიამ მისმა სიბრძნე ანათლა,
ღმერთმა აპკურა ნაკურთხი წყალი.
მგლის მუზარადი გვირგვინს შერწყმულა,
გვირგვინზე იყო ლომის სახული.
ჩვენთვის ხსნა იყო, მტრისთვის მახვილი,
საშობლოსათვის ხმალამოწვდილი.
მართალს აღწერდა მემატიანე,
ყოვლის შემძლე და მეფის მნახველი.
ერთის მოქნევით ცხენ-კაცსა ჰკვეთდა.
კვეთდა, გაჰყავდა სამართლის კვალი.
შთამომავალთა გულს განისვენებს
მეფე ლეგენდა, მთავარსარდალი!.
ჩვენმა გვიმტყუნა მერე ქართველებს,
მცველმა აღმართა მსახვრალი ხელი.
მეფე ვინცა კლა, სული წარწყმიდნა,
არც გვარი დარჩა, არცა სახელი.
ჰო, სიმართლეა ეს ყოველივე,
არც სიზმარია, არცა ზრაპარი.
ერის მხსნელს ხელმყოფს, ერის ლახვარმცემს
არ შეეწევა ღმერთი მფარველი.
ჰოდა, გახსოვდეს ბურჯო თაობის,
გზას არა კარგავს სანთელ-საკმელი.
მის კვალს გაჰყევი, რომ გაიზრდები.
ბნელს გინათებდეს მეფის ლამპარი.

ბალავარი

ეძღვნება ბიძინა ივანიშვილს

მცენარეზე ცუდი რად ვსთქვა ან რატომ ვსთქვა აუგია,
სუფთა ხელით სამებისთვის ბალავარი ჩაუგდია,
ელიაზე სალოცავად ზედ ტაძარი დაუგდია,
დავულოცავ კუთხე-კუნჭულს სადაც ფეხი აუდგია.

ქველიაო! ხალხი ამბობს უკვე კარგა ხანიაო,
სხვიტორელი მგოსნისაგან სიტყვა შეუსმენიაო,
ხე ნაყოფით შეუცვნია, სიბრძნე შეუძენიაო,
გაჭირვება გაუვლია, ბევრი დაუთმენიაო.
მართლად თქმული მავანთათვის ძნელი მოსასმენიაო,
მომიტევეთ მე უგნურსა, თუ რამ წამომცდენიაო,
მწიგნობრისთვის კალამია ხუროთმოძღვრის გონიაო,
ხატმწერისთვის ყალამია უფალს დაუდგენიაო.
მოყვასი თუ ვერ შეიცან, განა ვისი ბრალიაო,
ბევრგან მითხრეს - არქაული ძნელი აღსაქმელიაო,
რატომ სწორი ჟამგადასულს, საქმე გამოგლევიაო?
კლასიკოსებს ნუ ედრები, იყვ სახალხო მთქმელიაო.
რაც შენ გითქომს, უაზროა, უშედეგოდ თქმულიაო,
არავინ არ დაგიბეჭდავს, არ გყავს წამკითხველიაო,
შენსავ ქერქში დაეტიე, თვარა მზად აქვთ გალიაო,
დროს ჩამორჩი, საუკუნოთ, მოიკვეთე ხელიაო.
ჩახრუხაულს შეეშვიო გაუვიდა ყავლიაო,
სად აკვანი დარწეულა, ის ტბა უკვე მშრალიაო,
ამომტანიც მოკაკულა, წელში გაწყვეტილიაო,
კაცს ვერ ნახავ შეეშველოს, წათე მოდრეკილიაო.
წინაპართა ბოძებული თქვენთვის მომირთმევიაო,
უმეცრებით ძლივს გავლექსე, ცოდვა გამიმხელიაო,
ქართველისთვის რაინდობა განა უცხო ხილიაო,
მამხილეთ და მიმითითეთ, შემირჩიეთ სტილიაო.
მამხილეთ და შემაჩვენეთ, დამიმუწეთ პირიაო,
იბერებო, ჩვენს ანბანში სამი საფეხურიაო,
სხვას ერთიც თუ გააჩნია მრწამსი უტყუარიაო,
„დამდაბლებულს აღამაღლებს თუ რწმენაში მყარიაო!“

გიორგი ბრწყინვალე

„არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, სულ ამას ვშიშობ,
ჩემო მამაცო, მშვენიერო ქართულო ჯიშო!“
ადგილის დედა

დილა გათენდა, განათდა, ბალახი იყო ცვრიანი,
ვიხილე ქართველთ კრებული, ვაჟკაცნი ომახიანნი,
შუაში იდგა გიორგი, მეწამულ სამოსიანი,
მეფე უბნობდა, ჰკვირობდა, არს ჩვენში ღალატიანი.
ზომაზე მეტი, მეფეო, ჰკადრებდა ჩოხოსნიანი,
სულსაც გვართმევენ, მამულსაც, დადიან ყელბანტიანნი,
არად აგდებდნენ ცთომილნი, გზა მათი არის ძვლიანი,
ბოლოს რა მიაქვთ მიწაში, ოთხი ფიცარი ჯვრიანი.
გიორგი ბრძანებს ბრწყინვალე არც ერთ ჟამსაა გვიანი.
გამოიფხიზლეთ, გონს მოდით, ერში მოძებნეთ სვიანნი,
მათ მიეცთ მართვის სადავე, კაცნი არჩიეთ ფხიანნი,
მტერი აგზავნეთ ჯოჯოხეთს კლდენია ქარაფიანნი.
ერთურთში ნუ აგერევათ უზნეონი და ზნიანნი,
ისე მოაწყვეთ ქვეყანა, არვის მიადგეს ზიანი,
ერთია დედა სამშობლო! რა არის გასაზიარი,
სხვასაც ვერ არგებს მოკეთე, ჩამოფხაული მძინარი.
მე ყველას მივეც თავისი ეტრატი სამართლიანი,
ისე გაიფრენს სიცოცხლე, გონსაც ვერ მოვლენ ტიალნი,
ყველა აქ მოვა, ჩემს სოფელს გლახა თუ გვირგვინიანი,
აქაც თვითონ ვწერ სამართალს, გვირგვინოსანი ღვთიანი.
მიწის პატარა ედემი, ბორცვიანი და მთიანი,
ჭალა დიდნი თუ მცირენი, მთანი ციცაბო ტყიანი,
წყალნი ზე მოჩუხჩუხენი, მდინარიანი, ზღვიანი,
უდაბნონი და მყინვარნი, პიტალო სართი კლდიანი.
გვირისტის თავით ნაქარგი, ოქროსი საწმისიანი,
ნათელ ფერებში ხატულა, ნარინჯიანი ტბიანი,
მწვერვალნი ვარაყიანნი, კლაკნილა ბილიკიანი,
ოაზისია ქურუმთა-საუფლო კარიბჭიანი!
ხალხი ჭირღმთმენნი, უდრეკნი, ყიფნია, ბუნებიანნი,
ქარტია სახარებანი, ცანიანი და იანი,
ტაძარნი ნასათუთევნი, მეტყველნი, მონასტრიანი,
მგზნებარე ფილოსოფოსნი, მეფენი დიდსულოვანნი.
ცხენსა მჯდომარნი, მარადჟამს, ჩაუქნი უნარიანნი,
შორსმჭვრეტნი დაფიქრებულნი, მამაცნი, გუმანიანნი,

ფარნავაზ, ვახტანგ, დავითნი, თამარნი სვემადლიანი,
აი, ასეთი დავსტოვე *მე საქართველო მთლიანი.*
თქვენ სტუმრები ხართ მაგ მიწის, დროებით ბინადარები,
სიცოცხლის არსი ვინც იცის, ღვთისაგან მონადინები,
ღმერთია თქვენი მსაჯული, საწუთრო - მინადინები,
დღეს თუ მეფე ხარ ხვალყრმა ხარ, ცხედარი დასატირები.
თავსა ვინცა ჰქმნა ვაგლახი, შვილთა გვაქვს მოსაგვარები,
მემკვიდრეობა დიადი, სხვისთვის არ მისაბარები!
გვარს გაუფრთხილდით პაპათა, შემოჰკართ ცისკრის ზარები,
შთამომავლობით მიიღეთ წინაპართ დანაბარები!
გვარიშვილობა ტვირთია მამაცთა საბოძარები,
ერის კაცებად ხალხმა გცნოთ მორონით განაბანები,
ერმა გაკურთხოთ უკვდავგყოთ საქებნი თქვენისთანები,
ხმა ერთის ვერას გახდება თუ არ აჰყვება ბანები.
მგელიც კი ინდობს ცხვრის ფარას, თუ არის მინაბარები,
თუ იმ გორისა არა ხარ, მტარვალს ნუ დაემგვანები,
სისხლსა სისხლით ვერ ჩამოჰბან, წყლითაა მოსაბანები,
ჭკუა გონებით - განსჯილი, საქმით ჰქმენ გასახარები.
ზომიერებით აღვსილმა, წნინდანს უსწორე თვალები,
თუ ხელად არ გეწიფების მოძღვარს ნუ შეედარები.
არ დაემოყვრო მაცდურსა, ჯოჯოხეთს გაემგზავრები,
სულსაც წაიწყმენდ, გვარსაცა, არვისგან მოსაგონები.
ჟამი ჩამოჰკრავს წასვლისა, შეიქმენ დასანანები,
მომავალთათვის წარსულით გახდები მისაბაძები,
ერი მოგიჩენს იმ ადგილს, სადაც არს შენი დარები,
სხვა კი რა გინდა, რას ელი, მოკვდავად
დანაბადები.

ლერი ნოზაძე

დაიბადა 1955 წლის 9 თებერვალს. 1972 წელს
დაამთავრა ხაშურის მეორე საშუალო სკოლა,
ხოლო 1978 წელს - ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა აგრარულ უნივერსიტეტში, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „ეგრისში“, ეკონომიკისა და სამართლის ქართულ-ბრიტანულ და სხვა უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ „გორგასალის“ ასოცირებული პროფესორია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ათი პოეტური კრებულის და რამდენიმე ბიოგრაფიული ესსეს ავტორია.

***

მოელვარე თვალები. ნეტარების მომგვრელი.
ო, როგორ მებრალები, როლში ჩემი მომვლელის...
მე თუ მკითხავ, - სჯობია მოგვეთოკა ცდუნება
ჩემი სული რომბია, ჰგუობს ამობრუნებას: -
მსურს არასდროს გამომრჩეს გადახედვა კალენდრის.
თვალთმაქცობის გამო ჩემს სავალ ბილიკს ადენთ ბდღვირს.
რა სჭირს სალოლიავო ჯერ ჩემს ჯანის სიმრთელეს?
ვერც კი დავიღლიავო, - იმდენ რამეს მითმენენ -
სამომავლო ფიქრები. ცრემლებს ვიწმენდ უჩუმრად.
თქვენ ვერ გაგერითმებით, მხოლოდ ის, რაც გულს უნდა,
-იწვევს ჩემს გახელებას. თვალს გარიდებთ ამიტომ....
აციალებს ბგერებად მზის სხივები თავის ტონს.
მწვანე ფოთლებს ბაღჩაში მივყავარ შორს, სივრცეში.
ოცნება კი დამრჩა შინ, ვერც ვერასდროს მივწვდები, -
თუ არ წამომაშველა წყარომ ცივი წყლის წვეთი
გულში ამოხეთქილი, სულ-სულ-სულ-სულ-თვის ნებით.
ახლა... სიტყვის - „საბრალო“-ს თქმა ყველაზე ზუსტია!
კარგად უნდა ჩაჰბარო, პატივი თუ უყრია
შემოდგომთ ხის ძირებს. - არ გიმტყუნებს ნაყოფით.
ვუმკლავდები სიმძიმეს და რწმენის ძალაც მყოფნის
რიგრიგობით ყველა ბზარს და ყველა ბზკარს მივხედო.
აქ, დავარტყამ ერთ ნაფაზს, - ამოსუნთქვით მიმხვედრნო!

ჩვენნაირები

აწმყოს ათას ფერს სრულქმნის დილა ცამდე აღზევებს,
პასუხს თხოულობს კითხვა: -ვინ ვართ? - განთიადზევე.
განა სხვა რამე გვევალება, - მყოფადს შევცქერით
რადგან, თვინიერ, ჩვენც გვაქვს ნება ზნის მხნედ ტარების.
კეთილი ნების გავლენის ქვეშ ხარბად ვექცევით
გამორჩეული სისადავით, ზღვა ნეტარებით.
და ახლო-მახლო გონივრულად თუკი ჩანს რამე,
მისი დაცვისთვის, რუდუნებით, მზად ვართ, - ვიომოთ.
რა არ გადაგვხდა, ბეწვის ხიდზე რამდენჯერ განვვლეთ
რომ ჩაეხედათ, - სულში როგორ ვგალაკტიონობთ!
კიდევ რამდენჯერ უნდა შევძლოთ, ნეტავ, ქვეყანავ,
ქართული გენის, დვრიტის დაცვას თავი გავართვათ...
თითქოს ღვთიური სიერთგულე გადმოგვეყარა
ისე უბრალოდ, შენივთულად, რომ გვსურს, არცა ვთქვათ.

***

რადგან ძნელია გამძაფრება განსჯის უნარის
სჯობია, ალბათ, განსჯას სულაც თავი ვარიდოთ.
ვის განუკითხავს აღმოჩენა კართან სტუმარის
ძლივს შემოასწრო წამხდარ ამინდს რომ....
შეუდარებლად მძიმედ მოჩანს დასმა საკითხის:
სიდუხჭირეში ამაღლება გვახლდეს ღირსებად!
გონიერებას შევახსენებ ყველა განმკითხველს -
ნურც უადგილო ლაი-ლაის შევრაცხთ ღვთისნებად!
მინდა როგორმე ჩავეძიო საქციელს დედის:
სამშობიაროს კართან მისულ შვილს რომ იმეტებს!!
შვილის კი არა, - დედისას გთხოვთ დაშანთვას მკერდის!
ერთადერთ სწორ სვლად, - მერმისთვის რომ დამაიმედებს.

კეთილდღეობა არა - კუჭზე, არა - ჩაცმაზე,
ქართულ ადათზე გადიოდეს, უნდა, - განცდაზე!

მზიგული ხუროძე

კარგი ქალია! ო, უდავოდ კარგი ქალია!
მაღალი აზრით უწოდებენ ასეთთ ქალბატონთ!
ღმერთმა ინება და მრავალჯერ არივ-დარია
მათი ცხოვრება, ერთ დროს მშვიდი, წყნარი, სალაღო.
რა ხდება ახლა? - ინარჩუნებს უკლებლივ ისევ
ყველა ღირსებას, - მისი - მახსოვს დასაწყისიდან.
ტკივილის დამღას იშუშებს და ტკივილით ივსებს.
ის ღმერთმა ასე შეიფარა და მიიზიდა.
ზოგჯერ მისთვისაც განათდება ხოლმე საღამო,
როცა ტაძრიდან მიაშურებს ოჯახს დაღლილი.
ო. ეს ცხოვრება რამდენს უნდა მიესადაგოს!
მაგრამ, ულმობლად სრიალდება ხოლმე მარხილი.
და უცაბედად სწორედ იმ ტვირთს
„მიჰკარგ-მოჰკარგავს“
სული რომ გინდა გაატანო
და... თან რომ არ გაქვს!

ნატო ღონიკიშვილი

დაიბადა 1971 წლის 24 ივნისს ხაშურში, დაამთავრა გორის სამუსიკო სასწავლებელი. მუშაობს ხაშურის დავით კაკიაშვილის სახელობის მეორე საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული. ჰყავს 3 შვილი. ლექსებს წერს 12 წლის ასაკიდან.

***

ხასიათი ამინდივით წვალობს,
ნელა მათრობს ღვინო ძოწისფერი,
მერე ვავსებ არსებობის ყალიბს
და მინორულს მაჟორულად ვმღერი.
წყვდიადია კოსმიურად მშვიდი
ბედისწერა ჩემს გარშემო ბრუნავს...
შევითვისე საიდუმლო შვიდი
და მოველი ჩემს მეორე ბრუნოს...
მეჩვენება, ჩემს სავალ გზას ავცდი,
არ მთავრდება მოსაწყენი მითი...
მონატრება უმოწყალოდ გაცვდა ...
მოლოდინიც ბოლო წამებს ითვლის...
ხასიათი სათქმელივით წვალობს
და მაბრუებს ღვინო ძოწისფერი,
და ვერგები არსებობის ყალიბს...
და მინორულს მაჟორულად ვმღერი.

ფიქრის მუმია

ცაზე ღრუბელს თოხნის ნახევარმთვარე...
ცა ქუდად არ მყოფნის, სტრიქონს ვამთავრებ.
ქარი. ოთახში ბუხრის თბილი სუნია,
და კაცივით ოხრავს ფიქრის მუმია...
ამ უმძიმეს წუთებს მოთქმით დაათრევს
და ჩემს მუზას უთევს კედლის საათიც..
მოიტანა რითმამ და ვაღიარებ,

რომ ამ დღეებს ვითმენ, რომ ვაგვიანებ...
რომ მიჰქრიან წლები როკვით, აურით.
კვლავ სარკმელთან წვება ღამე ხმაურით.
ცაზე ღრუბელს თოხნის ნახევარმთვარე..
ცა ქუდად არ მყოფნის, სტრიქონს ვამთავრებ.

სონეტი-ხვალის მაგია

სხვისი ჭიშკარი, სახლი სავსე სხვისი წარსულით...
სხვისი ვნებების აგონია და უცხო ჰავა,
ამ სახლობანას სიზმარ-ცხადში რა დრო წასულა
და ღმერთო ჩემო, ნეტავ, კიდევ რამდენი გავა?
ვარსებობ, როგორც უთვისტომო და ვით ზარდახშას
სახლიდან სახლში დავატარებ ლექსების თარგებს,
ამ მასკარადში ჩემთან მხოლოდ მუზაღა დარჩა
ამ ერთგულების ერთგული ვარ და ვუხდი ხარკებს.
კვლავ ნაპირისკენ გამომრიყავს ჩემი სტიქია
და სულის ღელვას გამოსტაცებს მსუბუქ სტრიქონებს...
ასე უღონომ რა ვიღონო, ვერ გამიგია
და ყოველ ღამე გაღვიძების მიზეზს ვიგონებ...
ვებღაუჭები უსასრულო ხვალის მაგიას....
მხიბლავს მზაკვარი და უნდობი დროის ლაქია...

სალაღობო

გულნაღვლიანად შევიქენ
ვერა გავიგე თავისა,
მაძებრად გადავიქეცი
ერთი ვაჟკაცის კვალისა.
საქმე დამმართა სატანამ
გამრთობი ავი თვალისა,
ქმარ შამიყვარდა ვაგლახად

ჩემი ჰობი პოეზიაა

ქარვისთმიანი ქალისა...
შორიდან ვეტრფი ბეჩავი
მათრობს ტკბილ-მწარე ლოდინი
ნეტა მე გამაშლევინა
აიმ ვაჟკაცის ლოგინი..
დამაფენინა მის მკერდზე
ეს თმები სურნელბალახა
ერთმანეთს ჩაგვახუტა და
ერთი სიზმარი გვანახა.
ახლოში რომ არ ცხოვრობდეს
მოვძებნი კარ და კარაო
ერთ დღეს რომ თვალი ვერ ვკიდო
გულის ტკივილად კმარაო.
არ დამიწყევლო საწუთრო
ქარვისთმიანო ქალაო,
თორო დუელში გაგიწვევ -
გრძნობის მოვსინჯოთ ძალაო.
ერთმა გულღია გოგომა
ავი რა უნდა გიყოსა,
ვისაც უფრორე უყვარდეს
ხვადიც იმისი იყოსა.

მარინა ღონღაძე

დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ნებოძირში. დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლექსებს წერს ბავშვობიდან. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „ფიქრი და ფიქრი“.
ხაშურის პირველი საბავშვო ბაღის დირექტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სურამის ციხესთან

ვდგავარ სურამის ციხესთან
გული მიკვდება სევდით,
შეწუხებული, ზურაბის
და მისი დედის ხვედრით.
დღემდე მტირალი კედელი
მძიმე განსაცდელს ჰყვება,
ყურში ჩამესმის დედის ხმა,
როცა შვილს ეკითხება:
„შვილო, ზურაბ, სადამდის?!“
ისმის პასუხი მწარე:
„ვაიმე დედი, გულამდის!!!“
მეც ცრემლად დავიღვარე...
ვიჩოქებ, ფრთხილად ვეხები
კედელს, მუდმივად მტირალს,
სწორედ აქ, თვალებცრემლიან
ზურაბს ღრმა ძილით სძინავს.

ორი ჭრილობა

ორჯერ დავიჭერი გულში მწარედ,
ორივეჯერ სისხლის ცრემლები ვღვარე.
პირველად, როცა წაგვართვეს აფხაზეთი,
ღალატს შეწირულთ მიწაც ვერ ვაყარე.
მეორედ, როცა წაგვართვეს სამაჩაბლო
ძვირფასი თვალი, ბეჭედი ბაჯაღლო,

თითქოს ჩამომაჭრეს ორთავ ხელი,
ტანზე შემახიეს კაბა საპატარძლო.
ორივე ჭრილობა ღია დამრჩა
დროდადრო მაყრიან მასზე მარილს,
აღარ შემიძლია მეტის განცდა
ჭრილობა მეწვის ორგზის დაჭრილს.
მეწვის და მტკივა აფხაზეთი
მეწვის და მტკივა სამაჩაბლო
საქართველოს ორი მარგალიტი,
ორი ბრილიანტის კაბა, საპატარძლო.

ისევ აყვავდა შენს ეზოში იასამანი

ისევ აყვავდა შენს ეზოში იასამანი,
შენს საამებლად მეც იასამნისფრად ვიმოსები,
თვალები გეძებს, მგონია, რომ სადღაც ახლოს ხარ,
მიწონებ სამოსს, გეღიმება და ილოცები.
რა ლამაზია, რა ნაზია იასამანი,
უხვი ყლორტები ყვავილებით, ეზოს ამშვენებს.
ყვავის ხეხილიც, ავარდისფრებს ვენახს ატამი,
ეზოს ყაყაჩოც ფანჩატურთან შენს თავს მახსენებს.
მახსოვს, ვყლაპავდი ბავშვობაში ყვავილის გვირგვინს,
მრავალფურცლიანს სურვილების ახდენას ვთხოვდი,
ახლა კი... თუ რამ შეუძლია პატარა ყვავილს
მე შენი სულის უკვდავების სურვილს შევთხოვდი.

ნეტავ....

გაღმა ნაპირზე დარჩენილო საქართველო,
ნეტავ შენს ნასისხლარ მიწას ჩამახუტა.
ლურჯი, თეთრზოლა სანაპირო
ფუმფულა საბნად დამახურა.
რიწის ტბა ცრემლებად დამადინა,
ისეთი გმირობა *ჩამადინა* -

ჩემი ჰობი პოეზიაა

ქართლის მიწაზე ჩამაძინა
და ჩემს აფხაზეთში გამაღვიძა.

დამიჯერე

დამიჯერე, მოიშორე დარდი,
დღე გალიე უდარდელად, მშვიდად,
ხვალინდელი მხოლოდ ღმერთმა იცის,
სად და როგორ გათენდება დილა.

დამიჯერე, - შენ ვერაფერს შეცვლი
ვერც დაგეგმავ ხვალინდელ დღეს, ვერა.
მას გადაწყვეტს შენს მაგივრად ღმერთი,
მხოლოდ მისი სიძლიერის მჯერა.

ამიტომაც დაგვიფარე, ღმერთო
სალოცავო ჩვენო ერთადერთო,
დაგვიმკვიდრე ჩვენ ცხოვრება მშვიდი
და მოგვმადლე მოთმინება დიდი...

ალიკო ღონღაძე

დაიბადა ქვიშხეთში 1953 წელს. დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია. ლექსების წერა გვიან, ორმოცდახუთი წლის ასაკიდან დაიწყო.
 ამჟამად მუშაობს ქვიშხეთის კულტურის სახლის მენეჯერად. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

არდაბრუნება

შენ აღარ ჩანხარ...
ო, რაოდენი ბერწი დღენი
ჩაინთქნენ ბნელში..
ჩამოჭკნა ხსოვნა ჩაჩანაკი
და უსახური მიქრიან წლები...
მისრიალებენ, როგორც ბედის
შავი გველები
შენ კი არ ჩანხარ...
ო, როგორი გულის ძგერით
გძებნეს სიზმრებმა...
და ჰა...აენთო შორეული
ოცნების შუქი
და მისი სხივით განფენილი
ღამე არყოფნის
უფრო იდუმალ შიშის ზათქით
მიახლოვდება...
შენ კი არ ჩანხარ...
ეჭვმა დაჰფარა სული ბეხრეკი
იყავ? არ იყავ?
ხედავ, როგორ კოტაობს აზრი
და ამ უსიერ უდაბნოში სადაც სილაზე,
გველგვესლას უცხო იეროგლიფით
იწერება ეს განაჩენი,
მე ყელჩახლეჩილი ვბღავი
მაგ შენს არდაბრუნებას.

ჩემი ჰობი პოეზიაა

სადღეგრძელო

მომეც ეგ ჯამი...ღვინით ლიპლიპა,
მინდა ბახუსმა ფრთები შემასხას,
(ო, რა ტკბილია ქოხი ისლისა
და სიყვარულის ჩუმად შენახვა).
მომეც, გადავკრა, იქნებ, ზედაშემ
გადამავიწყოს ძველი ვალები
და გამახსედნოს როცა მე და შენ
ჭინკებით სავსე გვქონდა თვალები.
მსურს ლალისფერად მკერდის შეღებვა,
ყურძნის ნაჟურმა სისხლი მადინოს,
მინდა, იმ ღამეს ჩემმა შეხედვამ
თვალზე ბავშვური ცრემლი გადინოს.
მინდა რომ მთვრალმა გადავივიწყო
გარდაუვალი დღე აღსასრულის
და ერთი წამით კვლავ გავიხსენო
ტკბილი დღეები ლამაზ წარსულის.
კვლავ გამახსენოს ბახუსის ძალამ
ის, რაც იყო და ჩაბარდა წარსულს,
თუ ბიჭობაში მეფის ასულმა
როგორ მაკოცა ზღაპარში წასულს.
მოდი, დამისხი, მაგ ღვინის ეშხმა
სული ცეცხლივით ამიბრიალოს,
ასწი, გადავკრათ, ჩვენმა სიმღერამ
ბაირაღივით გაიფრიალოს.

ი/თბ

ხათუნა ჩიტაძე

დაიბადა ქ. ხაშურში 1977 წლის 17 იანვარს. წარჩინებით დაამთავრა ხაშურის რკინიგზის მეოთხე საშუალო სკოლა და თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ინსტიტუტი. მინიჭებული აქვს საქართველოს მხატვართა კავშირის ოსტატის წოდება (ნაქარგობა, ყაისნაღი, ქსოვა). 1995 წლიდან მუშაობს მე-9 საჯარო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად. ჰქონდა რამდენიმე პერსონალური და შერეული გამოფენა ხაშურში, გორში,

ზღვარი

ახლა ეს ზამთარი მკლავს,
ფიქრებს აზრი ისევ მკის,
სულ ვეღარ ვაჩერებ მკლავს,
ლექსიც ბგერა-ბგერა ცრის...
ქარი ისევ მიმტვრევს კარს,
უკვე ტკივილამდე ძვლის!
ყინვა ამიჯანყებს გვარს,
მონატრების ტანჯვა - ძირს!
ვიცი, აბსურდია ეს,
გული გავიხელო, რით?
სათქმელს მე ვერ ვიტყვი ბევრს,
შემოფარგლული ვარ ზღვრით.
ახლა ეს ზამთარი მკლავს,
ლექსიც ბგერა-ბგერა ცრის...

***

ზეშთაგონება... ქარის რეალი...
სხივის კამკამი და დრო ზღაპრული!
ყველგან სურნელი ინანთის ვარდის,
შემოვარდნილა ზღვა - გაზაფხულის!
წვეთთა გალობა მოწყვეტილ ზეცით,
მწვანე სილურჯე,- ნოხი სპარსული,

ჩემი ჰობი პოეზიაა

თვალს უხარია კუთხე-ალაგზე,
ჩუქურთმები და ძველი ვარდული.
ნაზამთრი სული ისევ გამითბა
გულში ჩამიწვა მზე - გაბაბთული...
ზეშთაგონება... ქარის რეალი...
სხივის კამკამი და გაზაფხული!

ავტოპორტრეტი

ცხოვრება - მზვარი,
არსად ჩრდილობი,
სულშია ზვავი,
 ფერთა ჭილობის!
- ოცნების არეს
ვერარა არევს!
მტევანთა ზარის
მომყვება ზვარი!
ზეკარი მალი:
ყოველთვის ზავი!
- სითბოს და ალერსს
არარა არევს!
გულია ჩრდილობი,
ჩაგრულის ჭილობი,
სულშია ზვავი,
ცხოვრება - მზვარი!
ღიაა კარი...
ღიაა კარი!!



ჟუჟუნა ცენგირაშვილი

დაიბადა1949 წლის 1იანვარს. ქარელის რაიონის სოფელ დირბში. ბავშვობიდან წერს ლექსებს.

გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული „უნაპირო სევდა“. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ორი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილიშვილი

ბადიში

ჩემი სიცოცხლე,
ჩემი გურამი
გახდება მამა
მე მის პატარას
გვირილებით მოვურთავ
აკვანს,
მერე დავჯდები,
ტკბილ ქართულით
ვუმღერებ ნანას,
გაიზრდება და მოვუყვები
წიქარას ზრაპარს.
ქართული სულით,
სიყვარულით
გავზრდი პატარას,
ცას მოვუქარგავ

მზის სხივებით
არწივის მართვეს.
ჩემი სიცოცხლე,
ჩემი გურამი
გახდება მამა!

***

ჩემი ჰობი პოეზიაა

ღამე შეიმოსა შავი კაბით,
გულზე დაიფინა ვარსკვლავები,
მთვარე ნამგალივით მოიქნია,
მიწას დააფინა ცვარ-ნამები.

მერე მზე ჩამოჯდა კაბადონზე,
ოქროს დალალები გადმოშალა,
ასეთი სილამაზის შემხედვარე
ღამე ფეხაკრეფით გაიპარა.

ლალი ჯაფარაშვილი

დაიბადა ხაშურში. დაამთავრა ხაშურის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

გამოცემული აქვს სამი ლირიკული და ოთხი საბავშვო ლექსების კრებული. მიღებული აქვს მაყვალა მრევლიშვილის და შიო მღვიმელის პრემიები. დაჯილდოვებულია ქრისტიანული პოეზიის დიპლომით. მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში შემოქმედებითი სტუდიის პედაგოგად.
 არის მწერალთა კავშირის წევრი.

წიგნის თარო - ნაკრძალი

გარდასულის ნათელში სულს მოვითქვამ ხანდახან,
მერე ისევ აწმყოა, აწეწილი ქარდაქარ...

საიმედოდ მინამქრა ეშმამ ნათლის ციალი,
ყველგან მისი ჩლიქი ჩანს, - მწვანის შმაშურ-შრიალი!..

აღიგავოს პირწმინდად! - ზიმზიმბაზარს ენება,
პირისაგან - მიწისა, მაღალ კაცთა ხსენება!

ქონდარეთი ქირქილებს, საავსაქმედ ირჯება,
ნაკარგყმათაც იკისრეს ძმებზე გადაბიჯება!

კიდევ კარგი, სახლში მაქვს თქვენი სულის ნაწილი, -
წიგნის თარო - ნაკრძალი, აქ ვმშრალდები ნაწვიმი.

ასე იყო და ასე იქნება

დრო, სიზმარ-ცხადის ცრემლნაცვარ ნაზავს,
ობლის კვერივით ჩააკრავს გვიან,
მყოფადი ცაზე ნათელს მოხაზავს
და ნაკვალევზე ამოვა ია!...

ჯერ აქ ხარ, დელგმას გაჩვევს ცარგვალი,
ქარბუქი ნამქრავს საქმეს საჩინოს!
წესია, - აწმყომ უნდა დაგმალოს

ჩემი ჰობი პოეზიაა

და მომავალმა აღმოგაჩინოს!

მწუხარება

ჩემს ეზო-კარს მოაკითხა მწუხარებამ, ვაიმე!

ცხრა უღელი ხარი ება,
კევრი ჰჰონდა გამობმული,
შავ კალოზე გულებს ლეწდა,
სისხლი ღვარად გადიოდა!...

კვალი დარჩა მწუხარებას მომწვარი და მოგლეჯილი!

გალახული სიხარული
მოკლე კაბას მისტიროდა,
მოთქვამდა და ზრიალებდა
ინგრეოდა მისი ოდა!...

გალეშილი მწუხარება ახლა სხვაგან მიდიოდა!

სარჩევი

ვასილ ამირიძე	4
ნესტორ(ალიოშა) რეხვიაშვილი	33
ელენე გამყრელიძე-რეხვიაშვილისა	55
ნანი გაჩეჩილაძე	60
კლარა გელაშვილი - კვინიკაძისა	64

გივი გელაშვილი	68
ალექსანდრე გიგიტაშვილი	70
მზისა გოგალაძე	72
ანა გოგნიაშვილი	75
ლილი გრიგალაშვილი	77
ჯიმი გურჯიშვილი	79
მანანა დანგაძე	81
შოთა დარბუაშვილი	83
დარეჯან თაგვაძე	86
მარიკა კვინიკაძე	87
ფატი კურტანიძე	89
მზია მაღალდაძე	91
გიორგი მეტრეველი	93
ნინო მეყანწიშვილი	96
თამაზ ნათენაძე	98
ლერი ნოზაძე	105
ნატო ღონიკიშვილი	108
მარინა ღონღაძე	111
ალიკო ღონღაძე	114
ხათუნა ჩიტაძე	116
ჟუჟუნა ცენგირაშვილი	118
ლალი ჯაფარაშვილი	120

My hobby is poetry
(In Georgian)

Periodical Literary
Miscellany No 9